

# გუნძთა ქვუბი

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა,  
გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო

ციალა ჭურციკიძემ

„განძთა ქვაბი“ (ქართული თარგმანის მიხედვით – „ქუაბი საგანძური“, ტექსტი, V,17) აპოკრიფული მწერლობის ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ძეგლია. იგი ბიბლიის (ძველი და ახალი აღთქმის) თავისებურ ეგზეგეზას წარმოადგენს, აპოკრიფული მასალით უხვად გაჯერებულს. III ს-ში სირიულ ენაზე შექმნილი ეს თხზულება ბერძნულად არ არსებობს. ქართული თარგმანი არაბულიდან მომდინარედაა მიჩნეული.

ქართველ მწიგნობართა შორის „განძთა ქვაბის“ ავტორიტეტულობას მოწმობს ის ფაქტი, რომ იგი ერთ-ერთ წყაროდ გამოუყენებია ქართველ ისტორიკოსს „ქართლის მოქცევის“ ქრონიკაში.

„განძთა ქვაბის“ კრიტიკული ტექსტი, მცირე გამოკვლევითურთ, პირველად დაიბეჭდა 1973 წელს (La caverne des trésors, Version georgienne, éditée par Ciala Kurcikiđse; Corpus Scriptorum Christianorum Orientalium; Scriptorum Iberici, tomus 23, Lovanii, in Aedibus E. Peeters, 1993). წინამდებარე გამოცემისათვის ნაშრომი საფუძვლიანად გადამუშავდა.

## მეორე გადამუშავებული გამოცემა

რედაქტორი – ექვთიმე კოჭლამაზაშვილი

© ციალა ქურციკიძე – 2007

ISBN 978-99940-68-28-9

ჩემი ძმის – ვახტანგ ქურციკიძის  
ნათელ ხსოვნას ვუძღვნი ამ წიგნს

## „განძთა ქვების“ ძველი ქართული ვერსია

ქრისტიანული მწერლობის ისტორიაში კარგადაა ცნობილი აპოკრიფული თხზულება, რომელსაც „განძთა ქვებს“ უწოდებენ (ფრანგ. La Caverne des Trésors). თხზულება წარმოადგენს სხვადასხვა აპოკრიფისა და ბიბლიის სხვადასხვა ეპიზოდის, კომენტარისა და ლეგენდის (როგორც ძველი, ასევე ახალი აღთქმიდან) კომპილაციას. შექმნილია სირიულ ენაზე, თარგმნილია არაბულ, ეთიოპურ, კოპტურ, და ქართულ ენებზე, მიუთითებენ მისი არსებობის შესახებ სომხურ ენაზეც.

თხზულების სახელწოდებას „განძთა ქვებს“ საფუძვლად უდევს თხზულებისაკვე ერთი ადგილი, სახელდობრ, V თავის 15-17 მუხლების ტექსტი, რომელიც ქართული თარგმანის მიხედვით ამგვარად იკითხება:

„და შთავიდა ადამ მთისა მისგან სამოთხისა მწუხარებითა დიდითა და პოვა ქუაბი მთისთავსა ქუეყანისასა.

და შევიდეს ადამ და ევა და დაიფარნეს მუნ შინა.

და იყვნეს წუთ ქალწულ და შეუხებელ ურთიერთას. და ვითარცა უნდა ადამს შესლვად ევაჲსა, გამოვიდა და შეკრიბა გარემომას სამოთხესა ოქროჲ და გუნდრუკი და მური, და შეიღო მის შთან ქუაბსა მას შინა და თქუა, რაჲთა იყოს ადგილი იგი სალოცველი მისდა და ძეთა მისთა, და უწოდა „ქუაბი საგანძური“ – V, 15-17.

სირიული ტექსტის შემცველ ზოგიერთ ხელნაწერში თხზულების ავტორად იხსენიება ეფრემ ასური. ეფრემ ასურია თხზულების ავტორი ქართული თარგმანის მიხედვითაც. სამეცნიერო ლიტერატურაში ეფრემის ავტორობას არავინ აღიარებს. ზოგ მკვლევარს იგი ეფრემის სკოლიდან გამოსული ავტორის კუთვნილებად მიაჩნია, ზოგი კი იმ აზრისაა, რომ, პირიქით, ამ თხზულებას უნდა მოეხდინა გავლენა ეფრემ ასურზე, სხვა მკვლევრების აზრით, ეფრემი უნდა იყოს ავტორი „განძთა ქვაბის“ იმ ნაწილისა, სადაც მოთხრობილია ე. წ. „ნათესავთა“ (ტომთა) გენეალოგიის შესახებ.

ასევე სხვადასხვა აზრი არსებობს თხზულების შექმნის ადგილის შესახებაც. ზოგი მეცნიერის აზრით, „განძთა ქვაბი“ დაიწერა ჩრდილო მესოპოტამიაში – ედესაში ან ნიზბინში, სხვების მიხედვით, თხზულება უნდა შექმნილიყო ეგვიპტურ სამონასტრო გარემოში, რადგან შეიცავს ეგვიპტის სამონასტრო ცხოვრების ნიუანსებს.

რაც შეეხება თხზულების დაწერის დროს, თვლიან, რომ იგი შედგენილი უნდა იყოს არა უგვიანეს III საუკუნისა, იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი პეშიტას ტექსტი.

დღეისათვის გამოცემულია „განძთა ქვაბის“ სირიული, არაბული და ქართული ტექსტები, ეთიოპური, კობტური და სომხური თარგმანების ფრაგმენტები.

სირიული ტექსტის რამდენიმე გამოცემა არსებობს. პირველად იგი გამოსცა კ. ბეცოლდმა გერმანული თარგმანითურთ 1882 წელს. 1888 წელს იმავე ბეცოლდმა გაიმეორა 1882 წლის გამოცემა, რომელსაც დაუმატა არაბული თარგმანიც.<sup>1</sup> ამ ტექსტის ახალი გამოცემით (1928 წ.) რიესლერმა ბეცოლდის გამოცემა გააუზოგოხეს.<sup>2</sup> სირიული ტექსტი გამოიცა ინგლისური თარგმანითურთ 1927 წელს.<sup>3</sup>

1 Bezold, C. Die Schatzhöhle, Leipzig, 1888.

2 Riessler, P. Die Schatzhöhle, dans Altjüdisches Schrifttum ausserhalb der Bibel, Heidelberg, 1928.

3 Wallis Budge, E.A. The Book of the Cave of treasures. Londres, 1927.

არაბული თარგმანი, რომელიც 750-760 წლებით თარიღდება, გამოცემულია ორჯერ: პირველად ბეცოლდის მიერ (1888 წელს); მეორედ იტალიური თარგმანითურთ ბატისტასა და ბაგატის მიერ 1979 წელს.<sup>1</sup>

სირიული ტექსტის ბოლო კრიტიკული გამოცემა ეკუთვნის სუ-მინ რის. მან მეცნიერულად შეისწავლა რამდენიმე ხელნაწერის მიხედვით და 1987 წელს გამოაქვეყნა „განძთა ქვაბის“ ტექსტის ორი რედაქცია (Or და Oc).<sup>2</sup> მანვე იმავე 1987 წელს გამოაქვეყნა სირიული ტექსტიდან მის მიერვე შესრულებული ფრანგული სიტყვასიტყვითი თარგმანიც.<sup>3</sup>

რაც შეეხება „განძთა ქვაბის“ ქართულ თარგმანს, პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ მას სხვა ენებზე დაცული ტექსტებისაგან განსხვავებით ვრცელი სათაური აქვს: „თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ეფრემისი: თარგმანებაჲ დაბადებისათჳს ცისა და ქუეყანისა და ადამისთჳს, ვითარ მიცვალეს გუამი მისი და დამარხეს გოლგოთას, და ცვალებაჲ ნათესავთაჲ, ვითარ ვპოვეთ ნათესაობაჲ ქრისტესი ჯორცითა, ვითარ წერილ არს სახარებასა ლუკას თავსა, ადამისითგან, ყოველთა მამისა, ვიდრე ქრისტესამდე, უფლისა და ღმრთისა ჩუენისა (პირველად ზოლო ესე თარგმნა წმიდამან მამამან ჩუენმან ეფრემ) და შობაჲ მამათ-მთავართაჲ ადამისითგან ვიდრე ქრისტესამდე, მაცხოვრისა და ღმრთისა“.

ქართული თარგმანი გამოცემულია ორჯერ: პირველად ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ე.წ. მარიამისეულ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტთან ერთად,<sup>4</sup> ხოლო მეორედ ჩვენ

1 Battista A, Bagatti B, la Caverna dei Tesori, Ierusalem, 1979.

2 la Caverne des Trésors, Les deux recensions syriaques, editee par Su-Min Ri, Lovanii in aedibus E. Peeters, 1987.

3 მეორდება სირიული გამოცემის სათაური. ცნობები „განძთა ქვაბის“ შექმნის დროისა და ადგილის, მისი თარგმანებისა და გამოცემების შესახებ მოცემულია სუ-მინ რის მიერ გამოცემულ ზემოთ დასახელებულ „განძთა ქვაბის“ ფრანგული თარგმანის შესავალ წერილში.

4 ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული ეთაყაიშვილის რედაქტორებით, თბილისი, 1906. გვ. 786-845.

მიერ.<sup>1</sup> ჩვენ მიერ მომზადებული ტექსტი ფრანგულად თარგმნა და გამოსცა ჟან-პიერ მაემ.<sup>2</sup>

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ე. თაყაიშვილმა უფრო მოგვიანებით (ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ) ეს აპოკრიფი გამოსაცემად მოამზადა A 153 ხელნაწერის მიხედვით, რომელსაც ვარიანტები გაუწყო S 30 ხელნაწერის ტექსტიდან, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ნაშრომის დასრულება მკვლევარს აღარ დასცალდა.<sup>3</sup>

ქართული „განძთა ქვაბის“ ხელნაწერები და თარგმანთან დაკავშირებული ისტორიულ-ფილოლოგიური საკითხები

„განძთა ქვაბის“ ქართულმა თარგმანმა ჩვენამდე რვა ხელნაწერით მოაღწია. ეს ხელნაწერებია (ჩამოთვლით ქრონოლოგიური თანამიმდევრობით):

1. ქუთაისის სახელმწიფო-ისტორიული მუზეუმის ფონდის №128.<sup>4</sup>

2. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდის №153.<sup>5</sup>

3. ამავე ინსტიტუტის S ფონდის №30.<sup>6</sup>

4. პეტერბურგის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერთა

1 Corpus Scriptorum christianorum orientalium, Scriptores iberici, tomus 23. La caverne des trésors, version georgienne, éditée par Ciala Kurcikidze, Iovanii, in Aedibus E. Peeters, 1993.

2 Corpus Scriptorum Cristianorum orientalium, Scriptores iberici, tomus 24. La caverne des Trésors, Version georgienne, traduite par Jean - Pierre Mahée, Iovanii, in Aedibus E. Peeters, 1992.

3 იხ. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ე. თაყაიშვილის პირადი საარქივო ფონდი, საქმე № 58.

4 ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I. 1953 გვ. 285-286.

5 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ. 12, თბ., 1976, გვ. 212-215.

6 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, ტ. I. თბ. 1959, გვ. 41-45.

ფონდის იოვანე ბატონიშვილისეული კოლექციის №10.<sup>1</sup>

5. ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდის №433.<sup>2</sup>

6. ხელნაწერთა ინსტიტუტის იმავე H ფონდის №881.<sup>3</sup>

7. გიორგი ლეონიძის სახ. საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის №3.<sup>4</sup>

8. საქართველოს სახელმწიფო ისტორიული არქივის №784.<sup>5</sup>

ქუთ. 128 და A 153 ხელნაწერები გადაწერილია ნუსხახუცური ხელით, დანარჩენები — მხედრულით. ამ ხელნაწერებიდან ყველაზე ძველი ქუთ. 128 უთარიღია. მას პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XV-XVI საუკუნეებით ათარიღებენ. ასევე უთარიღია და მხოლოდ პალეოგრაფიული ნიშნებით აკუთვნებენ XVII საუკუნეს A 153 ხელნაწერსაც. S 30 წარმოადგენს „ქართლის ცხოვრების“ შემცველ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელნაწერს. „განძთა ქვაბის“ ტექსტი „ქართლის ცხოვრებას“ წინ უძღვის. ხელნაწერის გადაწერის თარიღად ითვლება 1633-1646 წ.წ. ფიჭრობენ, რომ იგი უნდა გადაეწერათ ქართლის დედოფლის მარიამის († 1682 წ.) ბრძანებით (იყო როსტომ მეფის მეუღლე — 1632-58 წწ.). მარიამ დედოფლის პატივისცემით ამ ხელნაწერს მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებას“ უწოდებენ. გადამწერი ცნობილი არ არის. როგორც ვიცით, დღეისათვის დადგენილია, რომ S 30 ხელნაწერი წარმოადგენს არა მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებას, არამედ მარიამისეული „ქართლის ცხოვრების“ პირს.<sup>6</sup>

1 ხელნაწერი აღწერილი აქვს მ. ქავთარიას. აღწერილობა გამოქვეყნებული არ არის.

2 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ტ. I, თბ., 1964, გვ. 321-322.

3 იქვე, ტ. II, თბ. 1951, გვ. 251-253.

4 ლიტერატურის მატთანე, წიგნი 5, ნაკვეთი მეორე, ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილი ივ. ლოლაშვილის მიერ, თბ., 1949, გვ. 7-9.

5 ხელნაწერი აღწერილი აქვს ც. კახაბრიშვილს, აღწერილობა გამოქვეყნებული არ არის.

6 ცილა ქურციკიძე, „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეული ხელნაწერის შესახებ, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ. 1993, №3-4, გვ. 109-122.

ასე რომ, მისი დათარიღება 1633-1646 წლებით ზუსტი არ არის და მას წლების გარკვეული რაოდენობა ამორებს ნამდვილი მარიამისეული ხელნაწერისაგან.

ლენინგრადული ხელნაწერი № 10 გადაწერილია XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ცნობილი გადამწერის გიორგი მაჩაბლის მიერ მოსკოვში (გიორგი მაჩაბელი XVIII საუკუნის მოღვაწეა. იგი ირიცხებოდა მეფე ვახტანგ VI-ის ამაღლაში, რომელიც ემიგრანტად ცხოვრობდა 1725-1737 წლებში რუსეთში). „განძთა ქვაბის“ სათაურსა და ტექსტს შორის გადამწერის ხელით სინგურით წერია: „დაიწერა გიორგი მაჩაბლის კელითა“. პეტერბურგის №10 ხელნაწერიც „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერის დასაწყისს ნაწილს უნდა წარმოადგენდეს (ამ საკითხზე იხ. ქვემოთ).

დანარჩენი ოთხი ხელნაწერი XIX საუკუნისაა.

H 433 და H 881 ხელნაწერები თარიღიანებია. პირველი გადაწერილია 1842 წელს, მეორე 1853 წელს. პირველი დიაკონ ბასილის მიერ, მეორე კი სვიმონ ქორქაშვილის მიერ. ამაზე მეტყველებენ ამ ხელნაწერთა ანდერძები:

H 433, 150r: „ღმერთო, აცხოვნე წიგნისა ამის დამწერი, ყოვლად უღირსი დიაკონი ბასილ. აღიწერა ქრისტეს აქეთ ჩწყბ (1842) წელსა, აგვისტოს ღ-სა, საირმის მონასტერსა შინა“.

H 881, გვ. 46: „ერთი წიგნი ესე ვიხილე ადამ და ევასისა სამოთხით გამოსლვისა, ვისურვე და გადმოვსწერე მე, ცოდვილმან და უბადრუკმან სვიმონ ქორქაშვილმა. და იქნება შეცდომა რამე იხილვით, გთხოვთ, რომ მომიტეოთ და ბრძანებდეთ შენდობასა სულისა ჩემისასა, რათა ყოვლად მოწყალე ღმერთმან თქუენცა მოგიტევენეს ცოდვანი თქუენნი. ჩწყბ (1853) წელსა, მარტის იგ-სა (13)“.

პალეოგრაფიული ნიშნებით XIX საუკუნეს მიეკუთვნება არეთვე გიორგი ლეონიძის სახ. საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის № 3 და საქართველოს სახელმწიფო ისტორიული არქივის № 787 უთარიღო ხელნაწერები.

ქუთ. 128, A 153, H 881, ლიტ. მუზ № 3 და სახელმწიფო



არქივის № 784 ხელნაწერები ერთგვაროვანი კრებულებია. შეიცავენ ერთსა და იმავე თხზულებებს ერთი და იმავე თანამიმდევრობით. სულ 12 თხზულებაა. რაც შეეხება H 433 ხელნაწერს, მასში 12-ის ნაცვლად გვაქვს მხოლოდ პირველი შვიდი თხზულება.

ჩამოვთვლით ამ თხზულებებს A 153 ხელნაწერის მიხედვით:

1. საკითხავი ადამ და ევასი სამოთხით გამოსლვისა.

2. თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა ეფრემისი, თარგმანებად დაბადებისათჳს ცისა და ქუეყანისა და ადამისთჳს, ვითარ მიცვალეს გუამი მისი და დამარხეს გოლგოთას, და ცვალება ნათესავთა, ვითარ ვპოვეთ ნათესავობად ქრისტესი ჟორცითა, ვითარცა წერილ არს სახარებასა ლუკას თავსა ადამისითგან, ყოველთა მამისა, ვიდრე ქრისტესამდე, უფლისა და ღმრთისა ჩუენისა, პირველად ხოლო ესე თარგმანა წმიდამან მამამან ჩუენმან ეფრემ. და შობად მამათმთავართა ადამისითგან ვიდრე ქრისტესამდე, მაცხოვრისა და ღმრთისა.

3. სიბრძნისაგან ფილოსოფოსთაჲსა.

4. სიბრძნისაგან პლატონ ფილოსოფოსისაჲ.

5. სწავლა წმიდისა იოანე ოქროპირისა ლ<sup>ა</sup>, ვითარმედ არა ჯერ-არს უზომოდ გლოვა მიცვალებულთათჳს, არამედ გულსმოდგინედ გლოვითა მკურვალითა ლოცვაჲ და ვედრებაჲ მათთჳს ღმრთისაჲ მიმართ და ჟამისწირვა და მიცემა გლახაკთა საქმარისა მათისაგან.

6. წმიდისა და ნეტარისა მოციქულთა თავისა ჰავლესი, რომელმან სახედ მზისა მოვლო და განანათლა ყოველი ქვეყანაჲ, რომელი სულისა მიერ წმიდისა აღტაცებულ იქმნა სამოთხედ და აღიწია სამ ცამდე, და ესმნეს სიტყვანი უთქმელნი და იხილნა საყოფელნი მართალთა და ცოდვილთანი.

7. კითხვა-მიგებაჲ იესუსი და განრღუეულისაჲ.

8. თქმული მისივე, მოწყალებისათჳს მდიდრისა და ლაზარესთჳს გლახაკისაჲ.

9. თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა შიშისათჳს ღმრთისა და სინანულისაჲ.

10. წმიდათა შორის მამისა ჩუშნისა იოანე ოქროპირისაჲ, თქმული მოთმინებისათჳს და ამის სოფლისა აღსასრულისათჳს და მოსლვისათჳს უფლისა ჩუშნისა იესუ ქრისტესა მეორედ განსჯად ცხოველთა და მკუდართა, წიგნის კითხვისათჳს და დაყულებისა.

11. თქმული მისივე, სინანულისათჳს.

12. თქმული მისივე, დაყულებისათჳს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ თხზულებებს ამავე სათაურებით (უმნიშვნელო ვარიაციებით) და ამავე თანამიმდევრობით შეიცავს ამ ჯგუფის ყველა დანარჩენი ხელნაწერი (H 433-ის თავისებურებაზეც უკვე ითქვა). სხვათა შორის, ჩვენთვის უცნობია, რა პრინციპითაა გაერთიანებული სხვადასხვა ხასიათის ეს თხზულებები ამ კრებულებში.

ყველა ხელნაწერში, პირველ და მეორე საკითხავებს შორის („საკითხავი ადამ და ევასი სამოთხით გამოსლვისაჲ“ და „თქმული... ფრემისი, თარგმანებაჲ დაბადებისათჳს ცისა და ქუეყანისა...“) მოთავსებულია აპოკრიფის რაობის შესახებ ცნობილი ფრაზა: „ამა წიგნსა ეწოდების ბერძულად აპოკალიფსა, რომელ არს სამოდროთა კითხვა, არა ყოვლისა ერისა საანჯმნო ყოფა უცებთა და უმეტართა, არამედ მეცნიერთა, ვითარცა რჯულისკანონი“.

პირველი საკითხავიც აპოკრიფია და მეორეც, ამიტომ იგი ერთსავე შეიძლება ეხებოდეს და მეორესაც. H 433 ხელნაწერში კი იგი აშკარად „განძთა ქვაბის“ ტექსტს უნდა მიემართებოდეს, რადგან ადამ და ევას სამოთხით გამოსლვის აპოკრიფისაგან ამ ფრაზას საკმაოდ მსხვილი ხაზი ყოფს, „განძთა ქვაბის“ ტექსტი კი უშუალოდ მოსდევს მას.

რომელ თხზულებასაც არ უნდა ეხებოდეს აღნიშნული შენიშვნა, როგორც ადრეც ვწერდით, ერთი აშკარაა, იგი აპოკრიფის შეფასებაში იმ საზოგადოებრივი წრის პოზიციას ავლენს, რომელიც თვლიდა, რომ აპოკრიფი არ შეიძლებოდა ეკითხა ყველას, მით უფრო „უცებთა და უმეტართა“. მისი წამკითხველნი, „სჯულისკანონის“ მკითხველთა მსგავსად, „მეცნიერნი“ უნდა

ყოფილიყვენ.<sup>1</sup>

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთი და იმავე თხზულებების შემცველი ეს ექვსი ხელნაწერი ერთი და იმავე ტიპის კრებულებაა. საგანგებო შესწავლის გარეშე ძნელია იმის თქმა, მომდინარეობენ თუ არა ისინი ერთმანეთისაგან (ამას ალბათ შემდგომი კვლევა დაადგენს), მაგრამ მათი წინაპარი როგორც შედგენილობის, ისე ტექსტების რედაქციულობის თვალსაზრისითაც რომ ერთი და იგივე კრებული უნდა იყოს, ეს ცხადია. ამას ადასტურებს აღნიშნულ ხელნაწერებში დაცული პირველი ორი თხზულების („ადამის ცხოვრებისა“ და „განძთა ქვაბის“) ტექსტობრივი შესწავლა. ექვსსავე ხელნაწერში ეს ორი ტექსტი ერთი რედაქციისაა.

რაც შეეხება S 30-სა და პეტერბურგის ნაციონალური ბიბლიოთეკის, იოვანე ბატონიშვილის კოლექციის № 10 ხელნაწერს, ისინი სხვა ტიპის ხელნაწერებია.

S 30, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, „ქართლის ცხოვრება“, თუმცა საკუთრივ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი აქ 52-რ-ზე იწყება. 1-51 ფურცლები ხელნაწერში ორ აპოკრიფს უჭირავს: ჩვენთვის საინტერესო „განძთა ქვაბის“ ტექსტს (1r-48v) და აპოკრიფს შიშველ-მართალთა შესახებ სათაურით: „წმიდისა და ღმრთივ განბრძნობილისა დიდისა ბასილისი თხრობა ეკველოს მიმართ, მოძღურისა თუსისა, შიშველ-მართალთათუს და ქუეყნისა საზომისათუს“.<sup>2</sup>

აქვე, „განძთა ქვაბისა“ და „შიშველ-მართალთას“ ტექსტებს შორის, მოთავსებულია ერთგვერდიანი, უსათაურო სტატია (48v-49v), რომელიც გარკვეულ ცნობებს გვაწვდის იოვანე ნათლის-

1 შდრ. ადამის აპოკრიფული ცხოვრების ქართული ვერსია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბ. 2003, გვ. 12.

2 აღნიშნული აპოკრიფი საგანგებოდ შეისწავლა და ვრცელი გამოკვლევითურთ გამოსცა კ. კეკელიძემ. იხ. კ. კეკელიძე, გიმნოსოფისტები ძველ ქართულ ლიტერატურაში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ. 1945, 108-129.

მცემელსა და მარიამ ღმრთისმშობელზე.<sup>1</sup>

პეტერბურგის № 10 ხელნაწერი სულ 37 ფურცლისაგან შედგება (მისი ფურცლები დიდი ზომისაა: 32X20). „განძთა ქვაბის“ ტექსტი აქაც 1r-ზე იწყება. S 30-ისაგან განსხვავებით სათაურის პირველი ფრაზა ორჯერ მეორდება. ჯერ წერია: „თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა ეფრემისა, თარგმანი დაბადებისათჳს ცისა და ქუეყანისა“, ამის შემდეგ კი მოდის სრული სათაური, რაც სიტყვასიტყვით იმეორებს S 30-ში დაცულ „განძთა ქვაბის“ სათაურს (იხ. აქვე).

„განძთა ქვაბის“ ტექსტს ამ ხელნაწერშიც ზემოხსენებული უსათაურო სტატია და „შიშუელ-მართალთათჳს და ქუეყნისა საზომისათჳს“ აპოკრიფი მოსდევს. ხელნაწერი წყდება „შიშუელ-მართალთათჳს“ ტექსტის შემდეგ ადგილას: „მამინ მიუვლინა უფალმან წინასწარმეტყუელი ღმრთისა იერემია“ (37v). დაკლებული ტექსტის რაოდენობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ხელნაწერს ბოლო ერთი ფურცელი უნდა აკლდეს.

შედარების შედეგად აღმოჩნდა, რომ პეტერბურგის № 10 ხელნაწერში დაცული როგორც „განძთა ქვაბის“ ტექსტი, ისე მისი მომდევნო ერთგვერდიანი უსათაურო სტატია იოვანე ნათლისმცემლისა და ღმრთისმშობლის შესახებ, აგრეთვე აპოკრიფი „შიშუელ-მართალთა და ქუეყნისა საზომისათჳს“ თითქმის სიტყვასი-

<sup>1</sup> მოგვყავს ამ სტატიის ტექსტი: „წმიდამან იოვანე ნათლისმცემელმან დაყო უდაბნოს ოცდაათი წელი და მერმე ბრძანებითა ღმრთისათა მოვიდა ქადაგებად სინანულისა, ნათლისცემად, ოდეს-იგი ნათელ-ილო უფალმან ჩუენმან იესო ქრისტემან. დაყო ქადაგებასა შინა ერთი წელი ოდენ, გინა თუ უდარესიტა, და მოიკლა ეროდესგან. წმიდამან დედოფალმან ჩუენმან ღმრთისმშობელმან დაყო ცხორებასა შინა საწუთოსა სამოცი წელი. სამისა წლისა მიეცა მშობელთა ტაძარსა უფლისასა და იყოფოდა მუნ ვიდრე იქმნა ათორმეტისა წლისა, და მიეცა სახლად იოსებისა და დაყო მუნ ოთხი თუე. და მეყსეულად ახარა მას მთავარანგელოზმან განზოგებასა მეათხუთმეტისა წლისასა და შვა უფალი ჩუენი იესო ქრისტე მეათექუსმეტესა წელსა. დაყო იესო ქრისტეს თანა ოცდაათცამეტი წელი (ხელნაწერშია: „ოცდასამი“), შემდგომად ქრისტეს აძაღლებისა დაყო მოციქულთა თანა სახლსა იოვანე მახარებლისასა ათერთმეტი წელი. ყოველივე ერთბამად სამოცი წელი დაყო და მიიცვალა ცხორებად საუკუნოდ მედრებელთა და მადიდებელთა მისთა“.

ტყვიით იმეორებენ S 30 ხელნაწერის შესაბამის ტექსტებს. მათ ერთნაირი აქვთ თვით შეცდომებიც კი: ორივე ხელნაწერში ერთნაირადაა არეული „განძთა ქაბის“ ტექსტის გარკვეული მონაკვეთი (იხ. S 30-ის 29-34 და №10-ის 24r-26v ფურცლები). ასე რომ, თუ არ ჩავთვლით გადამწერთა ზოგიერთ ორთოგრაფიულ თავისებურებას, ან უნებურ შეცდომას, აღნიშნული ტექსტები S 30-სა და პეტერბურგის №10-ში აბსოლუტურად ერთნაირებია და ერთი არქეტიპიდან მომდინარეობის კვალსაც ატარებენ.

პეტერბურგის №10 ხელნაწერის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ისიც თავდაპირველად დასაწყისი ნაწილი უნდა ყოფილიყო იმავე გიორგი მაჩაბლის მიერ 1736 წელს მოსკოვში გადაწერილი „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერისა, რომელიც დღეს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში მაჩაბლისეული „ქართლის ცხოვრების“ სახელწოდებით H 2135 ნომრით ინახება. ერთი ხელნაწერის ეს ნაწილები შემდეგში გარკვეული მოსაზრებით ცალ-ცალკე ხელნაწერებად გაუთითოებიათ.<sup>1</sup>

S 30 და H 2135 ხელნაწერები საკუთრივ „ქართლის ცხოვრების“ ნაწილში იმდენად ემთხვევიან ერთმანეთს, რომ ისინი ერთი არქეტიპიდან მომდინარე ხელნაწერებად მიიჩნის.<sup>2</sup> არქეტიპად კი ჩათვალეს არჩილ მეფის († 1713 წ.) ნაქონი, დღეისათვის დაკარგული „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერი (რომელიც გიორგი მაჩაბლის გადმოცემით „დიად ძველი იყო“).<sup>3</sup>

როგორც ჩანს, სწორედ ეს არქეტიპი, არჩილ მეფის ნაქონი „დიად ძველი“ ხელნაწერი, შეიცავდა საკუთრივ „ქართლის ცხოვ-

1 ამ საკითხზე დაწერილებით იხ.: ც. ქურციკიძე, კვლავ „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერების აპოკრიფულ თხზულებათა შესახებ: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1990, №1, გვ. 59-60.

2 ე. თაყაიშვილი, სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბეგრატონთა შესახებ, ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით და ორი გენეალოგიური ტაბულით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ე. თაყაიშვილმა, 1949, ნაკვ. 27. გვ. 9.

3 კ. გრიგოლია, „ქართლის ცხოვრების“ მაჩაბლისეული ხელნაწერი და მისი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VIII, №7, 1947, გვ. 491.

რების“ ტექსტთან ერთად შემოხსენებულ აპოკრიფებსაც. S 30-ის გადამწერმა, თუ გადაწერის მესვეურმა ისინი (ქართლის ცხოვრება“ და აპოკრიფები) არ დააცილა ერთმანეთს, H 2135-ის გადამწერმა კი, საფიქრებელია, უფრო გადაწერის მესვეურებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს ამ ხელნაწერისათვის აღნიშნული აპოკრიფების ჩამოცილება და მისთვის სხვა შესავლის წამძღვრება. საქმე ისაა, რომ მაჩაბლისეულ „ქართლის ცხოვრებას“ შესავალ ნაწილად უძღვის ე. წ. ფსევდოდოროს ქრონოგრაფის ტექსტი.<sup>1</sup>

რა დანიშნულებით შეიტანეს „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებში აღნიშნული აპოკრიფებისა და ფსევდოდოროს ქრონოგრაფის ტესტები?

საკითხს იმის შესახებ, თუ რა მიზანს ისახავდა კონკრეტულად „განძთა ქვების“ ტექსტის დართვა „ქართლის ცხოვრებისათვის“, პირველად კ. კეკელიძე შეეხო. სწორედ იმის გამო, რომ S 30 ხელნაწერში აღნიშნული აპოკრიფი წინ უძღვის ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებას“, კ. კეკელიძე წერს: „ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ლეონტიმ განიზრახა, დაწერა უძველესი ისტორია თავისი ერისა. ამ ისტორიას ის ვერ დაიწყებდა, როგორც იტყვიან, ex abrupto, მისთვის საჭირო იყო ისეთი ნაწარმოები, რომელიც მას ზოგიერთ უმთავრეს დებულებებს მისცემდა და თან ქართველთა ისტორიას მსოფლიო ისტორიას დაუკავშირებდა. ასეთია სწორედ დასახელებული აპოკრიფი,

1 ფსევდოდოროს სახელით ცნობილი ქრონოგრაფი, XVI-XVII სს-ში დაიწერა ბერძნულად. XVII საუკუნეშივე იგი ითარგმნა რუსულ ენაზე. ზოლო XVIII საუკუნის დამდეგს არჩილ მეფის ინიციატივით მისი დასაწყისი ნაწილი ბერძნულიდან ქართულად უთარგმნია ბაგრატ სოლოლაშვილს, მეორე ნაწილის თარგმნა კი რუსულიდან გაუგრძელებით არჩილსა და მის თანამშრომლებს (ქრონოგრაფის ქართული თარგმანი გამოცემული არ არის. დაცულია რამდენიმე ხელნაწერში, რომელთაგან უძველესია სანკტპეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის № 122 ხელნაწერი). მაჩაბლისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილია ამ ქრონოგრაფის მხოლოდ ერთი პატარა ნაწილი – ქვეყნის გაჩენიდან ნოემდე. ამ საკითხზეც იხ. ისევ ჩვენი ზემოთ დასახელებული ნაშრომი: „კვლავ ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერების აპოკრიფულ თხზულებათა შესახებ... გვ. 54-56.

რომელიც, როგორც გამამართლებელი და დამამტკიცებელი მისი ისტორიული შრომისა, მისი, ასე ვთქვათ, შესავალი და პროპედევტიკული ნაწილი, თვით ლეონტიმ გადმოთარგმნა და მკითხველი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადა.<sup>1</sup>

ეს თვალსაზრისი შემდეგში ს. ყაუხჩიშვილმა უფრო დააკონკრეტა. მისი აზრით, აპოკრიფი, რომელიც წინ უძღვის მარიამისეულ „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერს, მის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. იგი ასწავლის ქართველ მკითხველს, რომ „საქართველოს ისტორია არის ნაწილი მსოფლიო ისტორიისა“.<sup>2</sup>

იმასთან დაკავშირებით, თუ როდის დაიწყეს „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებში ამ ე. წ. „მსოფლიო ისტორიის“ ტექსტების შეტანა, მკვლევარი წერს: „მსოფლიო ისტორია“ „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებში შემთხვევით კი არ არის მოხვედრილი, არამედ იგი იმთავითვე მოიპოვებოდა „ქართლის ცხოვრებაში“, როგორც მისი შესავალი ნაწილი“.<sup>3</sup> ს. ყაუხჩიშვილი სამართლიანად თვლის, რომ ეს მოვლენა ჩვენში დამოუკიდებლად არ გაჩენილა. იგი ბიზანტიურ ისტორიოგრაფიაში არსებულ ტრადიციას ემყარება. ამ მხრივ ს. ყაუხჩიშვილი ყურადღებას მიგვაქცევინებს ე. წ. ბიზანტიურ ქრონოგრაფებზე.<sup>4</sup>

კ. კეკელიძე და ს. ყაუხჩიშვილი არ შეხებიან მეორე აპოკრიფის („შიშუელ-მართალთათჳს და ქუეყნისა საზომისათჳს“) დანიშნულებას „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში. მას შეეხო ე. თაყაიშვილი, თუმცა ფაქტის ახსნა არ უცდია. ე. თაყაიშვილის აზრით, „განძთა ქვაბის“ ტექსტი, მართლაც, წარმოადგენს ერთ-

1 კ. კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, XII, თბ., 1979, გვ. 23. მისივე: ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, თბ. 1951, გვ. 411.

2 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 011.

3 იქვე, გვ. 013.

4 ქრონოგრაფი საშუალო საუკუნეების ისტორიული თხზულებაა რომელშიც სისტემატიურად გადმოიცემოდა მსოფლიო ისტორიის ძირითადი ეტაპები ქვეყნის გაჩენიდან.

გვარ წინასიტყვაობას ლეონტი მროველის თხზულებისას, მაგრამ ამ აპოკრიფის მის ორგანულ ნაწილად გამოცხადება გავზიადებული ჩანს, რადგან იგი ერთი სიტყვითაც არ არის გადამხული ლეონტის ისტორიასთან, ისევე როგორც აქ მოთავსებული მეორე აპოკრიფი (იგულისხმება „შიშუელ-მართალთათჳს და ქუეყნისა საზომისათჳს“ – ც. ქ.) არ შეადგენს „ქართლის ცხოვრების“ ორგანულ ნაწილს და არა აქვს კავშირი მასთან.<sup>1</sup>

ე. წ. მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ მეორე აპოკრიფის არსებობის ფაქტი მართლაც აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ „განძთა ქვაბის“ ტექსტის აქ შემოტანის იმ მიზანს, რომელზედაც კ. კეკელიძე და ს. ყაუხჩიშვილი მიუთითებდნენ.

ირაკვევა, რომ ე. წ. „მარიამისეული ქართლის ცხოვრება“ მასში დაცული აღნიშნული აპოკრიფებით მართლაც ბიზანტიური ქრონოგრაფების ყალიბზე აგებულ კრებულს წარმოადგენს, მაგრამ არა იმგვარს, როგორადაც მას კ. კეკელიძე და ს. ყაუხჩიშვილი მიიჩნევდნენ. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, ქრონოგრაფების შედგენილობისათვის დამახასიათებელი ყოფილა ის, რომ მათი შინაარსის გამდიდრების მიზნით დროთა განმავლობაში მათში შექჳონდათ აპოკრიფები, „ცხოვრებათა“ ტექსტები, ეპისტოლეები, საეკლესიო მამათა თხზულებები, გამონაკრებები ცალკეული მატრიანეებიდან და სხვ.<sup>2</sup> ამავ დროს აღნიშნულ სტატიებს ქრონოგრაფის კრებულებში ისე ანაწილებდნენ, რომ მათში მოთხრობილი ამბები ქრონოლოგიურ შესაბამისობაში ყოფილიყო ძირითად ტექსტში მოთხრობილ შინაარსთან.<sup>3</sup>

1 ე. თაყაიშვილი, აპოკრიფული მოთხრობა, რომელიც წინ უძღვის „ქართლის ცხოვრების“ მაჩაბლისეულ ხელნაწერს; აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XVII B, 1953, გვ. 26.

2 შდრ. ე. წ. ანასეული „ქართლის ცხოვრების“ შედგენილობა, რომელშიც დამატებით შეტანილია „ლაშა გიორგის დროინდელი მატრიანე“, „იოვანე ზღაპანელის ცხოვრება“, „არჩილ მეფის წამება“ (ნ. შოშიაშვილი, „ანასეული ქართლის ცხოვრების“ პირის გადაწერის თარიღი, მრავალთავი, ფილოლოგიური ისტორიული ძიებანი, V, თბ. 1975, გვ. 51).

3 О. В. Творогов, Задачи и перспективы издания хроник и хронографов: Летописи и хроники, Москва, 1976, стр. 190-191.



ქრონოგრაფის ამ თავისებურებათა გათვალისწინების შემდეგ სავსებით გასაგებია „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერისათვის აღნიშნული ორი აპოკრიფის ერთმანეთის მომდევნოდ წამძღვარების ფაქტი: ეს ორი აპოკრიფი „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერს წინ წაუძღვარეს მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ მათში მოთხრობილი ამბები ქრონოლოგიურად წინ უსწრებენ ქართველ მეფეთა ცხოვრების ისტორიას. სავსებით მიზანშეწონილი იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ მეორე აპოკრიფი გადმოჰყვა პირველს იმ წყაროდან, სადაც ისინი ერთმანეთის მომდევნოდ იყვნენ მოთავსებული.

ქართველთა ისტორიის მსოფლიო ისტორიასთან დაკავშირების მიზნით „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერის დასაწყისში მსოფლიო ისტორიის ტექსტის შეტანა, ჩვენი აზრით, გაცილებით გვიანდელი მოვლენაა და ამ მხრივ პირველი ცდა გიორგი მაჩაბლის სახელს უკავშირდება, რომელმაც არჩილ მეფის ნაქონ, იმავე მარიაძისეული „ქართლის ცხოვრებიდან“ გადმოწერილ ტექსტს ჩამოაცილა „განძთა ქვაბისა“ და „შიშუელ-მართალთას“ აპოკრიფები და სანაცვლოდ წაუძღვარა მართლა მსოფლიო ისტორიის შემცველი ფსევდოდოქოტეს ქრონოგრაფის ტექსტი.

ეს, — რაც შეეხებოდა „განძთა ქვაბის“ ქართული თარგმანის შემცველ რვა ხელნაწერს და მათ თავისებურებებს.

ჩამოთვლილი რვა ხელნაწერის გარდა „განძთა ქვაბის“ ტექსტი აღმოჩნდა კიდევ ერთ, 1669 წელს გადაწერილ H 1064 ხელნაწერში. აქ ეს ტექსტი ნაკლულია. იგი თხზულების მხოლოდ პირველ ხუთ თავს შეიცავს.<sup>1</sup>

H 1064 ხელნაწერი გადაწერილია ნუსხახუცური ხელით და ექვსი თხზულებისაგან შედგება. ესენია: 1. ანდრია სალოსისა და მისი მოწაფის კოსტანტინეპოლელ პატრიარქის „კითხვა დასაბამიდან დასასრულამდე ეპიფანესგან მოციქულისა ანდრიას მიერ“, 2. „განძთა ქვაბი“ და ეფთვიმე ათონელის მიერ თარგმნილი ბასილი დიდის ოთხი ჰომილია: 3. „დაწყებისათჳს იოანეს სახარე-

<sup>1</sup> წყდება სიტყვებზე: „ხოლო ადამ და ევა მწუხარებით იგლოვდეს ახელ მართლისათჳს ასსა წელსა“, იხ. აქვე: VI,1.

ბისა, ვითარმედ პირველითგან იყო სიტყუაჲ“, 4. „სულისა წმიდისათჳს“, 5. შესხმა წმიდათა ორმოცთა მოწამეთა“ და 6. „მე-მთრვალებობისათჳს, რომელ თქუა შემდგომად აღვსებისა დღითა ერთითა“.<sup>1</sup>

„განძთა ქვაბის“ ტექსტს ამ ხელნაწერში ოდნავ შეცვლილი სათაური აქვს: „თქმული ეფრემისა, თარგმანებაჲ დაბადებისათჳს ცისა და ქუეყანისა და ადამისთჳს და ვითარ-იგი მისცვალეს გუამი მისი და დამარხეს გოლგოთას. და ცვალებაჲ ნათესავთა და ვითარ ვპოეთ ნათესავები ქრისტესი ჯორცითა, ვითარცა წერილ არს სახარებასა ლუკას თავისასა ადამისთჳს, მამისა ყოველთასა, ვიდრე ქრისტესამდრე, უფლისა და ღმრთისა ჩუენისა. პირველ თარგმნა წმიდამან ეფრემ“.

„განძთა ქვაბის“ ტექსტს აქ. უჭირავს 79v-84r. სხვა ხელნაწერების მსგავსად აქაც, სათაურთან, მოთავსებულია ზემოთ მოყვანილი შენიშვნა აპოკრიფის რაობის შესახებ: „ამა წიგნსა ეწოდების ბერძულად აპოკრიფ[ა], რომელ არს მოძღ[უ]ართა ხოლო კითხვაჲ და არა ყოვლისა ერისა სა[ა]ნჯგნო ყოფად უცებთა და უმეცართა, არამედ მეცნიერთა, ვითარცა სჯულისკანონი“.

„განძთა ქვაბის“ ტექსტის ბოლოს მოთავსებულია გადამწერის ანდრძი (82r), საიდნაც ჩანს, რომ აღნიშნული ხელნაწერი გადამწერილი ყოფილა ელენე დედოფლის (1662-1695 წწ.) ბრძანებით 1669 წელს: „დიდებაჲ ღმერთსა, სრულმყოფელსა ყოვლისა კეთილისასა, დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი — ანდრძია სალოს[ის] საკითხავი ბრძანებითა დედოფლისა, პატრონისა ელენესითა... დაიწერა და სრულ იქმნა თჳსა (!) ნოენბერსა, დღესა ხუთშაბათსა, ჟამსა თ, ქორონიკონსა ტ<sup>ა</sup>ნ<sup>ა</sup>ზ<sup>ა</sup> (= 357; 1312 + 357 = 1669).

H 1064 ხელნაწერში დაცული „განძთა ქვაბის“ ტექსტი, გარდა იმისა, რომ მხოლოდ პირველი ხუთი თავის ტექსტს შეიცავს, შიგ-

1 ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), კ. კეკელიძის საერთო რედაქციით, ტ. III, შედგენილია და დასაბუჳდად დამზადებული ქრისტინე შარაშიძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, თბ. 1948.

ნითაც ნაკლულია. ამავე დროს გადაწერილია შეცდომებით: დარღვეულია ცალკეული სიტყვების მართლწერა, დამახინჯებულია ან გამორჩენილი არაერთი სიტყვა და ფრაზა... მიუხედავად ამისა, იგი გამოცემისათვის საინტერესო აღმოჩნდა იმ მხრივ, რომ შეიცავს ზოგიერთ წყაროსმიერ წაკითხვას, რომელიც ზემოთჩამოთვლილი რვა ხელნაწერიდან არც ერთში არ დასტურდება.

რაც შეეხება „განძთა ქვაბის“ ქართული თარგმანის შესწავლის ისტორიას, ამ თხზულებით ქართველ მეცნიერთაგან პირველად ივანე ჯავახიშვილი დაინტერესდა. მან სირიულ და ეთიოპურ შესაბამის ტექსტებთან შედარების შედეგად გაარკვია, რომ ქართულ მწერლობაში დადასტურებული ეს საყურადღებო აპოკრიფი წარმოადგენდა ასურული „განძთა ქვაბის“ ერთ-ერთი ვერსიის თარგმანს. გარდა ამისა, ივ. ჯავახიშვილმა ქართულ სამეცნიერო წრეებს გააცნო სირიული თხზულების პირველი გამომცემლის კ. ბეცოლდის დასკვნები იმის შესახებ, რომ, მართალია, ეს აპოკრიფი, ისევე როგორც ქართულში, ასურულ და ბიზანტიურ მწერლობაშიც ეფრემ ასურს მიეწერება, მაგრამ იგი სინამდვილეში ეფრემს არ ეკუთვნის, რომ თხზულება დაწერილი უნდა იყოს VI ს-ში ეფრემის ერთ-ერთი მიმდევრის მიერ.<sup>1</sup> მომდინარეობის თვალსაზრისით ივ. ჯავახიშვილს ეს ძეგლი არ უკვლევია. აღნიშნული აპოკრიფის ქართული ვერსია უცხოენოვან ტექსტებს (სირიულს, არაბულს, ეთიოპურს) შეუდარა ზურაბ ავალიშვილმა. მან გაარკვია ტექსტობრივი მიმართებები და ამავე დროს დასვა საკითხები წყარო ენისა და თარგმანის შესრულების დროისა და ადგილის შესახებ. ზ. ავალიშვილმა ყურადღება მიაქცია ქართული თარგმანის იმ თავისებურებას, რომ მასში აღმოჩნდა მოზრდილი მონაკვეთი ტექსტისა, რომელიც არც სირიულ წყაროში და არც სხვაენოვან თარგმანებში არ დასტურ-

<sup>1</sup> ივანე ჯავახიშვილი, Государственный строй древней Грузии и древней Армении, 1905, т. I, გვ. 26-27; მისივე: ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად, წიგნი I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII ს.ს.), ტფ., 1906, გვ. 120.

დებოდა. ამ ნაწილში, რომელიც წარმოადგენს ადამის ანდერძს თავისი ძის სეთის მიმართ და თხზულებაში „ჟამნი დღისა და ღამისანი“ ეწოდება, და მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცეს ღვთის გაჩენილი ყოველი არსი დღის 12 საათის (ჟამნი დღისანი ი<sup>ზ</sup>) და ღამის 12 საათის (ჟამნი ღამისანი ი<sup>ზ</sup>) განმავლობაში, როგორ უნდა ადიღონ ღმერთი; მოთხრობილია აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორ შეჰპირდა ღმერთი ადამს, რომ იგი მას აქცევდა ღმრთად „არა ამას ჟამსა, არამედ შემდგომად ჟამთა“, სახელდობრ, მას შემდეგ, რაც „ღმერთი მოვალს ქუეყანად“, რომელიც იშვება მარიამისგან და გადაიტანს ყველა იმ ტანჯვას, რაც ქრისტეს გადახდა თავს.<sup>1</sup> ზ. ავალიშვილის აზრით, ქართული თარგმანი უნდა მომდინარეობდეს „განძთა ქვაბის“ ისეთი ვერსიიდან, რომელიც ტექსტის ამ ნაწილსაც შეიცავდა და რომელიც დღეისათვის აღარ არსებობს.<sup>2</sup>

კ. კეკელიძემ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, „განძთა ქვაბის“ მთარგმნელად XI ს-ის ისტორიკოსი ლეონტი მროველი მიიჩნია, ხოლო წყარო ენად, საიდანაც ეს თარგმანი შესრულდა — ბერძნული.<sup>3</sup>

ე. თაყაიშვილმა საგანგებო სტატია მიუძღვნა IX ს-ის ქართული ისტორიული ძეგლის „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკის შემდგენლის მიერ „განძთა ქვაბის“ ქართული ვერსიის გამოყენების საკითხს. ამის კვალობაზე ე. თაყაიშვილის მიხედვით, „განძთა ქვაბის“ ქართული ვერსიის არსებობა უკვე IX საუკუნისათვის უნდა ვივარაუდოთ.<sup>4</sup>

1 იხ. ჩვენი გამოცემა, Chapitre VI A (Testament D' Adam), გვ. 17-24.

2 Notize sur une version georgienne de la Caverne des Trésors apocryphe syriaque attribue à saint Ephrem: Revue de l'Orient Chretien (XXVI), 1927-1928, №3-4, pp. 381-405.

3 კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია... გვ. 411; მისივე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები... გვ. 23.

4 ე. თაყაიშვილი, საიდან და როგორ გაჩნდა „ქართლის მოქცევის“ ქრონიკაში სახელწოდება „არიან ქართლი“? საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. IX, №9-10, 1948, გვ. 621-627.

„განძთა ქვაბის“ ქართული თარგმანის წყარო ენის საკითხი საბოლოოდ გაარკვია ჟან-პიერ მაემ. სირიულ და არაბულ ტექსტებთან დაწვრილებითი შედარების შედეგად მან გააკეთა დასკვნა, რომ ეს თხზულება ქართულ ენაზე უნდა მომდინარეობდეს დღეს დაკარგული არაბული ვერსიიდან, რომელიც, თავის მხრივ, სირიული ორიგინალიდან იყო თარგმნილი. ჟან-პიერ მაეს ეს დასკვნა ემყარება მის მიერ ქართულ ტექსტში შენიშნულ ე.წ. არაბიზმებსა და ისეთ სირიიზმებს, რომლებიც სირიულიდან თარგმნის დროს არაბულ თარგმანში გაჩენილა, არაბულის გზით კი ქართულ თარგმანში გადმოსულა.<sup>1</sup>

ჟან-პიერ მაეს დასკვნით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „განძთა ქვაბის“ ქართული ვერსია ამ ტექსტის არაბული თარგმანიდან მომდინარეობს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქართული ტექსტი ზუსტად და სიტყვასიტყვით მიჰყვება თავის წყაროს. მათ შორის ტექსტობრივი განსხვავებები არც თუ იშვიათია. როგორც იგივე ჟ-პ. მაე აღნიშნავს, სირიულ-არაბული ტექსტები შეიცავენ ისეთ ადგილებს, რომლებიც ქართულ თარგმანში არა გვაქვს და, პირიქით, ქართულ თარგმანში დასტურდება ადგილები, რომლებსაც სირიულ-არაბულში ვერ ვხვდებით. სხვათა შორის, ეს სურათი ქართულ-სირიული ტექსტების გამოცემების გარეგნული გადათვალიერებითაც კარგად ჩანს. ამ განსხვავებათა აღნუსხვა და კვალიფიკაცია, სამწუხაროდ, ჩვენს შესაძლებლობას აღემატება და მას მომავალში სათანადო კვლევა სჭირდება.

აქ გვინდა, ყურადღება გავამახვილოთ ქართული თარგმანის ერთ საინტერესო თავისებურებაზე, რომელიც დღემდე არსებულ სირიულ-არაბულ წყაროებში არ გვხვდება. ქართული ტექსტის ცალკეული მონაკვეთები იმის მიხედვით, თუ ბიბლიის რომელი წიგნის შინაარსს ეხება, რამდენიმე ადგილას დასათაურებულია. გვაქვს ასეთი ქვესათაურები:

„თარგმანებაჲ დაბადებისაჲ“ – XVIII, 2.

„შენებაჲ იერუსალემისაჲ“ – XXX, 2.

<sup>1</sup> La Caverne des Trésors, version géorgienne, traduite par Jean-Pierre Mahe, გვ. XXIII-XXVI.

„შთასლვამ ისრაელთამ ეგუპტედ“ – XXXII, 18.

„გამოსლვამ ისრაელთამ ეგუპტით“ – XXXIV, 1.

„მსაჯულთამ“ – XXXIV, 11.

„მეფეთამ“ – XXXV, 10.

„უწინარესი ტყუეობამ დანიელისი“ – XLIII, 10.

„შობამ მამათმთავართამ ადამისითგან ვიდრე ქრისტესამდე – XLIV, 21.

ვფიქრობთ, რომ ეს თავისებურებაც წყაროდან უნდა იყოს გადმოსული ქართულ თარგმანში.

რაც შეეხება „განძთა ქვაბის“ ქართულ ენაზე მთარგმნელის ვინაობასა და გადმოთარგმნის დროს, ძნელია, დავეთანხმობთ კ. კეკელიძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას და ეს თხზულება XI საუკუნის ისტორიკოსის ლეონტი მროველის მიერ საგანგებოდ „ქართლის ცხოვრებისათვის“ თარგმნილ ძეგლად ჩავთვალოთ, რადგან, ჩვენი აზრით, ლეონტი მროველს, სწორედ როგორც ისტორიკოსს, არ შეიძლება, არ სცოდნოდა, რომ „განძთა ქვაბი“ აპოკრიფია თავისი ტყუილ-მართალი შინაარსით და არა ისტორიული თხზულება და, რომ იგი ამის გამო საქართველოს ისტორიის მსოფლიო ისტორიასთან დასაკავშირებელად ნამდვილად არ გამოდგებოდა.

მართალია, „განძთა ქვაბის“ მთარგმნელად ნაკლებად შეიძლება ლეონტი მროველი ვივარაუდოთ, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ თხზულება ენობრივად, თავისი გრამატიკითა და ლექსიკით სწორედ IX-X საუკუნეებს – კლასიკური ქართულის მოგვიანო პერიოდს ეხმინება და ამ ეპოქის ჩარჩოებში ჯდება.

მიუხედავად იმისა, რომ უძველესი ხელნაწერი, რომელიც ამ თხზულებას შეიცავს, XV-XVI საუკუნეებით თარიღდება და აქაც და დანარჩენ, უფრო გვიანდელ, ხელნაწერებშიც ტექსტი ძალზე დაზიანებულია (ეს განსაკუთრებით S-30 და პეტერბ. №10 ხელნაწერებზე ითქმის): გამოტოვებულია ცალკეული სიტყვები, შესიტყვებები და ფრაზებიც კი, ერთი სიტყვა შეცვლილია სხვა, ხშირად გაურკვეველი მნიშვნელობის, სიტყვით,

დარღვეულია ორთაგრაფიული ნორმები, მ-ს ხმარების წესის დარღვევის შედეგად გრამატიკული ნორმებიც და სხვ., მიუხედავად ამისა, თარგმანის სიძველე მაინც სრულიად აშკარაა.

ამ თვალსაზრისით ჩვენ დაწვრილებით შევისწავლეთ „განძთა ქვების“ ტექსტის ენა და ზემოხსენებული დასკვნაც ამ შესწავლას ემყარება. დავიწყებთ ფონეტიკური თავისებურებებით:

თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ გამონაკლისს, თხზულების მიხედვით ჯერ კიდევ არ არის გამარტივებული ზმნისწინები. გვაქვს: ალიყანა – III, 8 (და არა: აიყანა), აღიღონ – VI, 12; განიღუბა III, 13; განანათლებს – VI A 23; განმგებელი – VIII, 8; გარდამოსრულ იყო – XIX, 7; შთავიდა – V, 15; შთახუალ – XII, 11; წარვალ – X, 8. და სხვ.

არ არის გამარტივებული რიცხვითი სახელებიც. თითო-ორო-ლა გამონაკლისის გარდა, ჩვეულებრივია: მეათორმეტე (და არა მეთორმეტე) – XIX, 9; ათცამეტი – XIII, 8; აჩუდმეტი – XVIII, 2; ორმეოცი – XIV, 17; ცხრაას სამეოცი – XIII, 8 და სხვ.

არქაული ფორმით გვხვდება შემდეგი სიტყვები: დაუშთა – XII, 3; დაშთომილი – XVI, 3; დააშთენა – XIX, 1; შეცთომილნი – VI A 35; სიტფო – I, 3.30; დაატფნის – V, 7; სეკდენბერი – XIV, 16; ფებერვალი – XIX, 8; ტრედი – XIX, 12.13; მფრინველი – XVIII, 2; ჩჩული – I, 3; სიჩჩოჲ – I, 20; მწუანვილი – I, 17; სტყორცა – VIII, 6; გზება (ვითარცა ცეცხლი ეგზებოდა) – XII, 19.

ძველის ენა მორფოლოგიური თვალსაზრისითაც ძველი ქართულის ნორმებს ექვემდებარება.

1. როგორც საზოგადო, ისე საკუთარი სახელების ბრუნების მხრივ ჩვენი ძველი სავსებით იმეორებს ძველი ქართული მწერლობის სხვა ძეგლების თავისებურებებს.

**საზოგადო სახელები:**

ა) ძველში გვხვდება წრფელობით ბრუნვაში დასმული სახელების სხვადასხვა შინაარსით გამოყენების შემთხვევები:

მღდელ მალღისა ეწოდოს მას – XXII, 12.

ძე ჩემი... იქნეს კაც – V, 7-8.

ქამ... იქმნა მგიობარ – XXXI, 17.

ამაღლდა წყალი თავსა ზედა მათათსა ვითარ ათხუთმეტ კაც – XIX, 2.

იგლოვდეს ორმეოც დღე – IX, 11.

ბ) მოთხრობით ბრუნვაში დასმული საზ. სახელი ყოველთვის დაირთავს -მან ბრუნვის ნიშანს:

აღილო ღელვამან ზღუსამან კილობანი იგი – XIX, 3.

მან ყო ვერე, ვითარცა პრქუა მას ეშმაკმან – XXVI, 8.

გ) მიცემით, ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში საზოგადო სახელები თითქმის ყოველთვის დაირთავენ ემფატიკურ ა-ს: ...პურსა ხოლო და ღუნოსა შესწირვიდეს – XVI, 25.

რომელნიმე უგებდეს ცასა, სხუანი მზესა, რომელნიმე მთოვარესა XXV, 11.

მელქისედეკ... არცა სისბლი დასთხიოს მუნ... არცა ნადირისა, არცა მფრინველისა – XXII, 12. გოლგოთა... ყოვლისა დაბადებულისა შესაკრებელი არს – XXIII, 18. შეიბილწნეს ყოველნი ბილწებითა მათითა – XXV, 10. აღავსეს კერპებითა ვითარცა მამანი და დედანი – XXV, 14.

საკუთარი სახელები:

ა) სახელობით, მოთხრობით და წოდებით ბრუნვებში ფუძის სახით არიან წარმოდგენილი:

სეით უბლოდა ერსა თუსსა – VII, 1.

ვითარცა მოკუდა ადამ, შემურა სეით – VI, 19.

აბრაჰამ... დაფლეს ძეთა მისთა ისაკ და ისმაელ – XXXI, 4.

შვილო სეით, ისმინე ჩემი სიტყუაჲ – VI A, 27.

ბ) მიცემითსა და ნათესაობითში, აგრეთვე ნათესაობითარ ბრუნვებში არ დაირთავენ ემფატიკურ ა-ს:

პრქუა სემ ფალეგს, ძესა არფაგსადისსა – XXIII, 8.

ისწავა ნებროთ იუნიტანისგან წიგნი სიბრძნისაჲ – XXVII, 11.

(სოლომონ)... განაგლო მცნებაჲ მამისა თუსისა დავითისი – XXXVI, 11.



(ძენი ისრაელისანი)... იკსნნა ღმერთმან კელითა სამსონისითა XXXV,6.

ისმინეთ, ძენო სეითისნო! – XII,13 და სხვ.

მხოლოდ გამონაკლისის სახით გვხვდება შემდეგი ფორმები: რომელმან-იგი მოკლა კაენი – XI,3.

განერა ისაკი დაკლვისაგან – XXIX,5.

ალიყვანა აბრაჰამ ისაკი საკურთხეველსა ზედა – XXIX, 8.

ამგვარი გამონაკლისები კლასიკური ხანის უფრო ადრინდელ ძეგლებშიც გვხვდება.

გ) ძველ ქართულში დროის გადმოსაცემად ზოგჯერ იხმარება საკუთარი სახელების ნანათესაობითარი ფორმები, რომლებიც თავის მხრივ მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებშია დასმული. მსგავსი ფორმების ხმარება დამახასიათებელია ჩვენი ძეგლისთვისაც:

ესე სამეოცდასამი ნათესავი ადამისითგან ვიდრე ქრისტესამდე და ზაქარიას, ძისა ბარაქიამსამდე – XLIV,13.

შობაჲ მამათმთავართაჲ ადამისითგან ვიდრე ქრისტესამდე – XLIV, 21.

დაწყებაჲ დაბადებისა ადამისითგან ვიდრე ქრისტესამდე – LIV,16.

ტომები ნათესავთა მამათა მათთაჲ ვიდრე წმიდისა ღმრთისმშობელისა მარიამისამდე – XLIV,1.

დაშთა საფლავი ვიდრე ქრისტესამდეო – LIII,7.

2. ძველი ქართული მწერლობის სხვა ძეგლების მსგავსად - ებ-იან მრავლობითში სახელები აქაც შედარებით იშვიათად გვხვდება. აღსანიშნავია „ბორცუები“-ს (XXVI, 13,17) გვერდით და მისივე მნიშვნელობით „გორები“-ს (XXVI,18) ხმარება. ვფიქრობთ, რომ კლასიკური ხანის ქართულში არარსებული ეს სიტყვა ჩვენს ძეგლში უფრო მოგვიანებით გადამწერთაგან უნდა დაფიქსირებულიყო.

ბიბლიის წიგნების აღსანიშნავად რამდენიმე შემთვევაში ნახ-მარია „წიგნები“ (XLI, 22; XLII, 2, 3; XLIII, 1,2; XLIV, 5.) ამ სიტყვის მრავლობითის ფორმით ხმარებას ბერძნული τῶν



რამთა აღაშენონ იერუსალემი და ვინ ყონ მათ ზედა მეფედ – XXXVIII,1.

ესე ნათესაობამ, რომელი დაგიწერე თქუენ, არასადა ვინ მითხრა – XLV 19.

არარამ აქუნდა მათ, რამთამცა დაუგეს რამ და აჭამეს – XLVI,13.

არცა განიყვის რამ მისი თუსაგან – XLVI,18.

არა იყო მუნ ზრუნვამ რამვე – VII,5.

ნ. რთული რიცხვითი სახელები, როგორც ზემოთაც ვნახეთ, ძირითადად გაუმარტივებელი სახით გვხვდება:

მეათორმეტესა დღესა – XIX,9; მარტსა ათცამეტესა – XIII,8; მაისსა აცხრამეტესა – XVII,2; წელთა სამეოცდაექუსთა – XIII,8; შემდგომად ორმოცისა დღისა – XIX, 9; იყო სამეოცდაათ წელ – XLIII,10; ოთხმეოცისა წლისა – XXVIII,6.

რიცხვითი სახელი, რომელიც წელთა რაოდენობას აღნიშნავს, წრფელობით ბრუნვაში ეთანხმება საზღვრულს:

ცხოვნდა სეროქ ოცდაათ წელ – XXV,7.

(რობოამ) მეფობდა აჩუდმეტ წელ იერუსალემს – XXXVII, 1.

(იოთამ) მეფობდა აცხრამეტ წელ – XXXVIII,18.

ჰმსახურებდეს ძენი ისრაელისანი ნათესავთა მადიამელთა შუდ წელ XXXV, 2 და სხ.

ჩვენი ძველის მიხედვით ზმნაც იმ თავისებურებებით ხასიათდება, რაც მას ძველ ქართულში აქვს. ზმნასთან დაკავშირებით ბევრი არქაიზმის დასახელება შეიძლება, რომელთა ერთობლიობაც კვლავ ამ ძველის არქაულობას უჭერს მხარეს:

1. ძველში რამდენჯერმე გვხვდება -ავ თემისნიშნისანი ზმნები. I სერიის მწკრივებში ამ ზმნის უღლების თავისებურება, რაც მას კლასიკურ ქართულში ჰქონდა, აქაც არ არის დარღვეული: მიითუალვენ ლოცვასა – VI A, 25.

მესმოდა სიტყუამ და ვხედევდი – VI A, 20.

კიდობანი ფრინვიდა ზედა წყალთა - XIX, 6.

ბრწყინვიდა ბრწყინვალეებითა დიდებისა ღმრთისაჲთა - II,14.

ისიძვიდეს და იმრუშებდეს - II,2.

ხედვიდეს მშულდსა გარდაცმულსა - XX,12.

2. თხზულებაში ძველი ქართულისებურად, ქცევის ნიშნების გარეშეა წარმოდგენილი ზოგიერთი ზმნა, რომლებიც დღეისათვის საარვისო, სასხვისო თუ სათავისო ქცევის ნიშნებს დაირთავენ:

სჭირდა (= უჭირდა) ძეთა ისრაელისათა მოაბელთაგან ათორმეტ წელ - XXXIV,14.

ვითარცა-იგი წინა მხარმეტყუელა (= იწინასწარმეტყველა) დანიელ - XLIV,54.

შემზადე (= შეამზადე) სარეკელი ძელისაგან საჯისა - XIV,11.

ამისთვის იძულნეს (= იიბულნეს) კითხვად კაცთა შობაჲ მუფისა მის - XLVI,5.

შეზავეს (= შეაზავეს) სასუმელი მწარე - LI,7.

ტყუეს, (= მოიტყუეს) რამეთუ ვერ ცნეს - XXVI,13.

მოგუთა დაყოვნეს (= დაეყოვნეს) ბეთლემს დღენი რაოდენნიმე - XLVI,9.

3. საშუალი გვარის ზმნები, რომლებიც დღეს აწმყოს მწკრივის ფორმებს მემუველი ზმნით აწარმოებენ, აქ ისევე, როგორც საერთოდ ძველ ქართულში, უმემუველზმნოდ იხმარებიან:

ნუსწუხ - V,3; ნუსწუხ შენ - V,6; იხილე, ვითარესე მიყუარ შენ - V,3; ნუსტირ - XXV,7.

4. კლასიკური ქართულის სხვა ძეგლების მსგავსად ირიბი ობიექტის მრავლობითობა ზმნაში არც ამ ძეგლის მიხედვით აღინიშნება:

(ძეთა სეითისთა) ენება, რაჲთამცა უკუნ-იქცეს მთადე - XII,18.

ვითარცა იხილეს ხატი მისი და ესმა სიტყუაჲ, ვეღრუბოდეს მას - XXX,4.

ვითარცა მიესმა მეფეთა წარმართთა, შეკრებს – XXX,2.  
ესე ნათესაობაჲ, რომელი დაგიწერეთქუენ, არასადა  
ვინ მითხრა – XLIV,19.

იხილეს ყრმაჲ იგი... მწოლარე ბაგასა, დაუკჯრდა ფრიად  
ამისთვის – XLVI,6.

მე არა წარვიღე თქუენისა სიმდიდრისაგან, არამედ მამათა  
თქუენტა რომელი ეგუპტით გამოეღო – XXXVII,1.

5. „უნდა“ ზმნა XI-ს-მდე წარსულ დროს (უწყვეტლის  
შინაარსს) გადმოსცემდა. ასეა ეს ჩვენს ძეგლშიც:

„ვითარცა უნდა (= უნდოდა) ადამს შესლვად ევაჲსა, გამოვ-  
იდა და შეკრიბა... ოქროჲ და გუნდრუკი და მური – V,17.

ამისა შემდგომად დაწერეს, ვითა ვის უნდა (= უნდოდა) –  
XLIV,10.

სასუმელი მწარე... მიუპყრეს უფალსა, რამათა სუას, ხოლო  
უფალსა არა უნდა (= უნდოდა) – LI,7.

6. ზმნა „შესწირავს“, რომელიც დღეს სამპირიანია, ძველ  
ქართულში ორპირიანი იყო. დღევანდელი ირიბი ობიექტი მას-  
თან მიმართულებით ბრუნვაში იდგა და უბრალო დამატებას  
წარმოადგენდა. I სერიის მწკრივებში დაფიქსირებული ს- პრე-  
ფიქსი მიცემით ბრუნვაში დასმულ პირდაპირ ობიექტს აღნიშ-  
ნავდა, რომელიც ზმნას II სერიაში არ გადაჰყვებოდა. ის რამდე-  
ნიმე მაგალითი, რომელიც ჩვენს ძეგლში ამ ზმნაზე გვხვდება,  
ძველი ქართულის სურათს ასახავს:

ნუცა შესწირავს... დაკლულსა, არამედ პურსა ხოლო და  
ღვნოსა შესწირვიდე ს ღმრთისა – XXII,12.

არცა შესწიროს მუნ მსხუერპლად დაკლული... არამედ პურსა  
ხოლო და ღვნოსა შესწირვიდე ს“ XVI,25 (იგულისხმე-  
ბა: უფლისა).

[ნოე] შესწირა მსხუერპლი საცხოვართაგან წმიდათა – XX,9.  
(= უფლისა)

(მოგუთა) ეგრეთ შესწირეს ქრისტესა (= ქრისტესსა) XLVI,4.

7. ხოლმეობითის ხმარების სიხშირით ძველი არ გამოირჩევა,

მაგრამ საჭიროების შემთხვევაში მთარგმნელი ამ ფორმებს თავის ადგილას და სავსებით სწორად იყენებს: ერთ ფრაზაში კარგად ანაცვლებს აწმყოს ხოლმეობითისა და II ხოლმეობითის ფორმებს.

ერთგან მოთხრობილია, თუ რა წესით ასწავლიდნენ ბერძნები ჩიტს, ზორაყს (თუთიყუსს) ადამიანურ ლაპარაკს. ჩიტის ამგვარი წვრთნა ბერძნებში წესად ყოფილა, ამიტომ მისი აღწერა ტექსტში, სრულიად კანონზომიერად, ზმნის ხოლმეობითის ფორმებითაა გადმოცემული:

„ემსგავსა იგი მფრინველსა მას, რომელსა ჰრქვან ზორაყი, რომელი განსაწვლიან ბერძენტა ზრახვასა კაცებრივსა, რამეთუ ესრეთ ყვიან: მოიდიან სარკე და წინა მიუჰყრიან მფრინველსა მას. და ზრახვენ კაცი უკუანა კერძო სარკესა მას. და ოდეს ესმინ მფრინველსა მას სიტყუამ, მიხედნის კმასა და იხილის სარკესა მას შინა ხატი თუსი, რამეთუ ჰგავნ მფრინველსა. განიხარის ფრიად, ჰგონებნ, ვითარმედ მოყუასი მისი მოსრულ არს და ზრახავს. და ისწავის სიტყუამ კაცებრივი მფრინველმან სიმშჯლით“ – IV, 8-11.

თუ როგორ იქცეოდნენ სეითის შვილები წმიდა მთაზე ყოველდღიურად, მთარგმნელი ამას იმავე ხოლმეობითის ფორმებით შემდეგნაირად აგვიწერს:

„ყოველთა დღეთა აღიმსთვან და ილოციან თავსა მას მთისა მის წმიდისასა და თაყუანის-სციან წინაშე ღმრთისა და იკურთხნიან გუამისაგან ადამისა. და აღიხილნიან თუალნი მათნი და ხედვედ სამოთხესა და აღიდებედ ღმერთსა – VII, 12-13.

მწყემსმა ლოფოთქინის (ლოკოკინის) სისხლით მოსვრილი მატყლის გვირგვინი დაიღვა თავზე. როდესაც ეს მწყემსი თავისი გვირგვინით მზეზე გამოჩნდებოდა, ვინც შეხვდავდა, ეგონათ, თავზე მზე ადგასო. ტექსტში აქაც ხოლმეობითის ფორმების საჭიროება იგრძნობა და არის კიდევ:

„ოდეს ვალნ მზესა, რომელთა იხილიან, ჰგონებედ, ვითარმედ მზე არს თავსა მისსა“ – XXXVI, 6.

სხვა შემთხვევები:

„რაჟამს ვინ მოკუდის მათგანი, აღმართიან ხატი მისი საფლავსა ზედა“ – XXV,13.

„ემსგავსა კრძალსა ღებულსა, რომელი გამოავლიან აღსა ცეცხლისასა; და განკუეთის ალი და არარაჲ ეენის ცეცხლსა მახულისაგან და არცა განიყვის რაჲ მისი თუსაგან“ – XLVI,18.

8. „განძთა ქვაბის“ ტექსტი ზმნის თურმეობითის ფორმების სიუხვით არ გამოირჩევა. რაც გვხვდება, ყველა მაგალითი ძველი ქართულის ნორმათა მიხედვითაა ნაწარმოები:

ა) მოქმედებითი გვარის ზმნის I თურმეობითის ფორმები -იეს (მხოლობითში) და -იან (მრავლობითში) დაბოლოებას გვიჩვენებენ: წყვეისა მის წილ პირველისა მიგიღებ იეს კურთხევაჲ – XXXVIII,13.

(ღმერთს) შეუმოსიან კორცნი კაცობრივნი – XLVI,21.

ბ) -უბ თემისნიშნიან მოქმედებითი გვარის ზმნებს II თურმეობითში ჯერ კიდევ არა აქვთ შეძენილი -ებინ სუფიქსი, ასე რომ მათი II თურმეობითიც მოქმედებითი გვარის სხვა ზმნების მსგავსად -ენ-იანი ვნებითის წყვეტილის ფორმებს ემთხვევა:

...სოფელსა, რომელსა ეწოდა ებრინ, რომელი მას აღეშენა – XXIV,7 (ახ. ქართულით: აღეშენებინა).

...სოფელსა, რომელსა პრქჳან რაინ, რომელი მას აღეშენა – XXV,6.

რამეთუ დაეტევა მას ღმერთი და ესვიდა ეშმაკსა – XXXV,14.

პეროდეს ყოვლისა ნათესავისაგან თუთოჲ საპყრობილოსა შეეყენა – XLVII,25.

9. II სერიის მწკრივებში სახელობით ბრუნვაში დასმული პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა, ძველი ქართული ენის სხვა ძეგლების მსგავსად, ჩვენს ძეგლშიც -ნ/-ენ სუფიქსით აღინიშნება.

(ღმერთმა) შემოკრიბნა ყოველნი პირუტყუნი – II,20.

გუელსა უკუნ-უქციენ ფერკნი მისნი – V,5.

დაიდრიკნიან სერაბინთა ფრთენი – VI A,20.

ვითარცა დაასრულნა სიტყუანი ესე ადამ, მოკულა – VI,15.

რომელმან გჯესნა ჩუენ სიკუდილისაგან – XXII,3.

იყენეს წელნი არფაქსადისნი ოთხას სამეოცდახუთნი – XXIV,2.

კურთხევით გარდამეველნეს წელნი ორმეოცნი – XXXIX,10.

გვაქვს გამონაკლისებიც, როდესაც პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა ზმნაში ასახული არ არის (მელქისედეკ არცა მოიყუენოს ფრჩხილნი – XXII,12 და სხვ.), მაგრამ ასეთი გამონაკლისები კლასიკური ხანის სხვა თხზულებებშიც გვხვდება.

10. ძველ ქართულში „ქმნა“ და „შობა“ ზმნები II კავშირებითს -ე მწკრივის ნიშნით აწარმოებდნენ (დღეს ეს ზმნები ამ მწკრივის საწარმოებლად -ა ნიშანს იყენებენ), იგივე სურათია „განძთა ქვაბში“:

ძე ჩემი... იქმნეს კაც – V, 7-8.

რამთა ქმნეს ნებაჲ მათი – XXXVI,13.

ძე ჩემი... რომელი იშვეეს ქალწულისაგან – VI,30.

არღარა იშვეეს შვილი მთასა ამას წმიდასა – XIII,17.

დღეთა მათ, რომელთა ჰშვე ძე შენი – V,10.

11. ვნებითი გვარის ზმნები ყველა იმ თავისებურებას იმეორებენ, რაც მათ კლასიკური ხანის ქართულში აქვთ.

ა) უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ძეგლში ი/ე-იან, უნიშნო და -დ სუფიქსიან ვნებითებთან ერთად ჩვეულებრივია -ნ სუფიქსიანი ვნებითის ფორმებიც. -ნ სუფიქსი აქაც არანარანარა თანხმოვნების მეზობლობაში გვაქვს.

(ემშაკი) განრისხნა სიბოროტითა თუსითა – IV,4.

ლოცვაჲ გამოცხადნების – VI,11.

ამათ წელთა გამოცხადნა საქმე ცოდვისაჲ – XI,1.

(მანასეს) განურისხნა ღმერთი – XL,2.



რაჟამს გამოცხადნა ქრისტე კორცითა, ესრეთ თქუა — XXIX,13.

(ადამ) შეწუხნა ფრიად — V,23.

(იარედ) შეწუხნა მწუხარებითა დიდითა — XII,10.

შეწუხნეს ფრიად მათოჲს — XIII,13;

ღმერთი განრისხნეს — XIII,15.

ბ) ზმნები, რომლებიც კლასიკური ხანის ქართულში ერთ-პირიანი ვნებითის ფორმებს ე-პრეფიქსით აწარმოებდნენ, აქაც ე-პრეფიქსით გვხვდება:

ვითარცა განერთხა გუამი ადამისი და შთაებერა სული, და აღემართა ზე — II,15.

ძე მკსნელი საფლავსა დაეფლას — VI A,46.

შენ და ძენი შენნი განერნეთ — XVI,10.

განეხუნეს საუნჯენი ქართანი — XVIII,11.

მას ადგილსა დაენერგა ჯუარი ქრისტესი — XXIX,4.

დაწერილი ასურთაჲ... მარჯუენით დაიწყების და მარცხენით დაესრულების — XXIV,11.

დაეფარა მათგან ვარსკულავი იგი — XLVI,5.

განელო ქუეყანაჲ... დაეკჷა კარი ქუეყანისაჲ — XXI-II,16-17.

გ) ვნებითი გვარის ზმნები აწმყოს მწკრივის მხოლოდობით რიცხვში მე-3 პირის ფორმებს აქაც მხოლოდ და მხოლოდ -ების დაბოლოებით აწარმოებენ:

ეკლესიაჲ ითარგმანების ებრაულად სული წმიდაჲ — III,17.

ლოცვაჲ გამოცხადების — VI A,11.

აუწყა მას ღმერთმან, ვითარმედ გარდაიცვალების — XIII,15.

დაწერილი ასურთაჲ... მარჯუენით დაიწყების და მარცხენით დაესრულების — XXIV,11.

ვითარცა სულიერი იზარდების — XLIII,3.

დ) წყვეტილის მე-3 პირის მრავლობით რიცხვში კი მოქმედებითი გვარის ზმნების მსგავსად მათაც -ეს დაბოლოება

აქვთ (ნაცვლად დღევანდელი -ნენ-ისა):

შეკრბეს ვითარ ასი ოდენ კაცი - XII,9.

წარწყმდეს ძენი სეთისნი - XII,17.

შეირინეს ენანი და განიბნინეს ყოველნი პირსა ქუეყანისასა - XXIV,12.

ამაღლდეს ღელვანი ზღუსანი მალლად და განეხუნეს საუნჯენი ქართანი - XVIII,11.

შეიბილწნეს ყოველნი ბილწებითა მათითა - XXV,10.

დაიწყევნეს ჰურიანი და დაეყუნეს პირნი მათნი - XLIV,4.

ე) ი- და ე- პრეფიქსებიანი ვნებითი გვარის ზმნები II სერიის მწკრივების მრავლობით რიცხვში სახელობით ბრუნვაში დასმული ობიექტის (აქ სუბიექტის) მრავლობითობას -/-ენ სუფიქსით აღნიშნავენ ისევე, როგორც ეს კლასიკურ ქართულში გვაქვს:

დაიწუნეს იგინცა ნებითა მათითა - XII,17.

შეიგინნეს კორცნი მათ ყოველთანი - XII,17.

იშვნეს მათგან გმირნი მამანი - XV,3.

ყოველნი დაბადებულნი დაგემორჩილნეს - II,23.

დაეყენნეს თავით თუსით სამოთხისაგან - XVI,18.

გამოეცნეს წყარონი ქუეყანით - XVIII,10.

12. -ოდ სავრცობიანი ზმნები უწყვეტლის კავშირებითში - ოდი დაბოლოებით არიან წარმოდგენილი, ძეგლმა ამ მხრივ გამოჩაყლისი არ იცის:

სცხოს (ზეთი) სნეულსა და რომელსა არა დაეძინებო-დის ვნებისაგან, და განიკურნოს - VI,23.

უკუეთუ იხილოს იგი ევა, ივლტოდის მისგან - IV,7.

რომელი გარდავიდოდის ამის ქუეყანისაგან, აღილოს გუამი მამისა ჩუენისა ადამისი და წარილოს მის თანა - XIII,6.

რაც შეეხება ამავე ზმნების მრავლობითი რიცხვის ფორმებს, III პირში, აქ ისინი -ოდიან დაბოლოებითაც გვხვდება როგორც ეს კლასიკური ხანის ქართულშია, და -ოდინ/-ოდენ დაბოლოებითაც, როგორც იმავე კლასიკური ქართულის მოგვიანო პერიოდისათვის არის დამახასიათებელი:

რამათა ადიდებდენ შვილნი ჩემნი ყოველნი ღმერთსა შვერ-  
დომით და ევედრებოდინ (ევედრებოდინან BCD) და  
მოელოდინ (მოელოდენ BCD) წყალობასა ღმრთისაგან  
– VI A,3.

ზმნასთან დაკავშირებით კიდევ შეიძლება სხვა არქაიზმების  
დასახელება:

1) ზმნა „მართვა“ I სერიის ფორმებს -ავ-ის ნაცვლად -ებ  
თემის ნიშნით აწარმოებს:

რომელსა აქუნდა საჭე და კმართებდა კილობანსა მას –  
XVIII,14. (შდრ. რამათა კეთილად კმართებდეს საჭეთ-  
მპყრობელი ნავსა – მ. ცხ. 79v).

2) „ვალ“ ფუძის ზმნა აწმყოს III პირში „ვალს“ (მხ-ში),  
„ვლენან (მრ-ში) ფორმებს გვიჩვენებს:

ანგელოზი წარვალს წინაშე ჩემსა – XXIII,6.

მწყემსი... ოდეს ვალნ მზესა, რომელთა იხილიან, ჰგონებედ,  
ვითარმედ მზე არს თავსა მისსა – XXXVI,6.

მეგუპტელნი ვლენან ყოველსა ქუეყანასა – XXI,25.

3) „განძევა“-ს ნაცვლად გვაქვს „განძება“:

„განაძო ღელამ თუსი სამეფოასაგან თუსისა“ –  
XXXVII,10.

4) ზმნის I პირის ობიექტის მრავლობითობა მ- პრეფიქსითა-  
ცაა აღნიშნული: „რომელი აღმითქუ ჩუენ – III,20.

5) „გაცინება“ და „მიხედვა“ ზმნები II სერიის მწკრივებში  
პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის -ნ ნიშანს ავლენენ:

ქამ განიცინნა – XXI,3.

ღმერთმან... არცა მიხედნა ყოვლადე – V,27.

ოდეს ესმინ მფრინველსა მას სიტყუამ, მიხედნის კმასა –  
IV,9.

არქაულია თხზულების სინტაქსიც:

1) მსაზღვრელ-საზღვრული სრულ შეთანხმებას გვიჩვენებს  
ბრუნვასა და რიცხვში. ეს ითქმის როგორც ატრიბუტულ, ისე  
მართულ მსაზღვრელიან საზღვრულზე, ჩვეულებრივია ასეთი  
ფორმები:

მფრინველნი არაწმიდანი – XVIII,9.  
 თუესა მეშუდესა – XIX,6.  
 მწუხარებითა ღიღითა – XXIII,25;  
 შესაწირავად მსხუერპლად – XXII,12.

აგრეთვე:

მღელ უფლისა – XXIII,19.  
 ფურცელი ზეთისხილისაჲ – XIX,12.  
 დელვამან ზღვსამან – XIX,3;  
 ანგელოზმან ღმრთისამან – XXII,12.  
 პირსა ქუეყანისასა – XIX,13.  
 (შემდგომად) განკმობისა წყლისა – XIX,11.  
 ბეჭდითა მამისა თვისისაჲთა – XXIII,2.  
 საუნჯენი ქართანი – XVIII,11.  
 კარნი ცისანი – XVIII,10 და სხვ.

2) წინაშე, თანა და ზედა თანდებულების სინტაქსური ფუნქცია, ერთმანეთისგან განსხვავდეს ვინ და რა ჯგუფის სახელები და ისინი შესაბამისად ნათესაობით და მიცემით ბრუნვებში იმართოს (ვინ ჯგუფისანი – ნათესაობითში, რა ჯგუფისანი კი – მიცემითში), ამ ძეგლშიც დაცულია: თხზულების ენისათვის დამახასიათებელია ერთი მხრივ: (პირუტყუნი) წარმოდგეს წინაშე აღამისა – II,20.

კანან დადგა მსახურად წინაშე ღმრთისა – IX,1.

(იორამ) ქმნა ყოველი ბოროტი წინაშე ღმრთისა – XXXVIII,19.

ანგელოზი ღმრთისაჲ წარუძღუეს წინაშე მისსა – XVI,27.

მეორე მხრივ:

დადგა ენოს მსახურად წინაშე წმიდასა ქუაბსა მას საგანძურსა – VIII,1.

(ოზია) აკუმია საკუმეველი წინაშე ტაძარსა ღმრთისასა – XXXVIII,15.

მოკლეს ზაქარია ტაძარსა შინა წინაშე საკურთხეველსა – XLVII,18.

ერთი მხრივ:

შთამოვიდა აზარ აბრაჰამის თანა – XXXI,3.

ბელიათან, რომელი იყო ნამოდის თანა – XXX,22.

(რებეკა) დამარხეს აბრაჰამის და ისაკის თანა – XXXII,9.

(ისაკი) დაფლეს აბრაჰამის და სარრამს თანა – XXXII,8.

ნებროთ დაადგრა მის (= იუნიტანის) თანა სამ წელ – XXVII,11.

კალმანა, რომელი იშვა აბელის თანა... ლიუდ, რომელი იშვა კაენის თანა – V,21.

მეორე მხრივ:

ვითარცა მოვიდა ეზრა ჯურღმულსა მას თანა, ეცასული საკუმეველისა – XLIII,2.

რამათა არა შეერთოს თესლი ქანანელთა თესლსა თანა აბრაჰამისსა – XXXII,16.

ერთი მხრივ:

მაშინ აღდგა კაენ აბელის ზედა – V,29.

ღმერთი განრისხნეს ამის ნათესავისა ზედა – XIII,15.

ამისთვის აღდგა ბაბლეთაშ... მის ზედა – XXXVIII,22.

შეკრბეს მის ზედა ყოველი თესლები – XLVIII,11.

ჰურიანი... იღრჭენდეს კბილთა მათთა დამბადებელისა მათისა ზედა – XLVIII,14.

მეორე მხრივ:

მიეფინა სიტჟომ ჰირსა ზედა ქუეყანისასა – I,20.

დაბადა ღმერთმან... ყოველი იძრვისი ქუეყანასა ზედა – I,23.

ყივილი ღალადებისა მათისა აღიწია თავსა ზედა მთისა მის წმიდისა მასა – XII,8.

ვინ და რა ჯგუფის (უფრო ზუსტად, სულიერი და უსულო) სახელთა ბრუნვები ძველ ქართულში, როგორც ცნობილია, უთანდებულოდაცაა გარჩეული. მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებული ზმნები მიმართულებას გადმოსცემენ, ვინ ჯგუფის სახელები ნათესაობით (resp. მიმართულებით) ბრუნვაში არიან წარმოდგენილი, რა ჯგუფის (უსულო) სახელები კი – მიცემითში

(ან ვითარებითში) ამ წესს საგანგებოდ კარგად იცავს ჩვენი ძეგ-  
ლიც:

შემოკრბეს ლამექისა ნოე და ძენი მისნი – XVI, 4.

(ძე ჩემი) შევიდეს წმიდისა ქალწულისა – V, 8.

უკმოიქცა იაკობ ისაკისა, მამისა თუსისა და დაე-  
მკედრა მის თანა – XXVI, 9.

შთავიდა იაკობ იოსებისა ეგუპტედ – XXXII, 18.

(აბრაჰამისა ისაკი) აღიყვანა მთასა მას იებოსსა მელქისედე-  
კისა – XXXIX, 3 (CD)

ესე ათნი მეფენი მოვიდეს მელქისედეკისა – XXX, 3  
(CD)

მეორე მხრივ:

ძე იგი გამოვიდა საფლავსა მამისა მისისასა – XXVI, 6.

შევიდა ნოე კიდობანსა – XX, 2.

(აბრაჰამ) მოვიდა მთასა მას იებოსსა – XXVIII, 8.

(ოზია) ურცხვნოდ შევიდა წმიდასა წმიდათასა –  
XXXVIII, 15.

შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი, ჩვეულებრივ,  
წრფელობითი ბრუნვის ფორმით გვხვდება:

ადამ იყო მღდელ, მეფე და მთავარ – IV, 1.

უწყოდა, ხილვამ მისი ვითარ უშუერ და სატუხელ  
არს – IV, 7.

იყო ჰერ უკეთურ და მოკლა ღმერთმან – XXXII, 14.

არს იგი ბუნებით შუენიერ – I, 9.

განკეთროვნებულ იქმნა პირი მისი და მოკუდა – XXX-  
VIII, 16-17 და სხვ.

შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი სახელობითი  
ბრუნვის ფორმითაც გვხვდება, მაგრამ გაცილებით უფრო იშვი-  
ათად ისევე, როგორც ეს ხდება ძველი ქართული ენის სხვა  
ძეგლებშიც.

მაგ: გოლგოთა ყოვლისა დაბადებულისა შესაკრებელი  
არს – XXIII, 18.

მცა ნაწილაკს შენარჩუნებული აქვს სინტაქსური ძალა, ზმნის

თხრობითი კილოს ფორმები მომავალი დროის შინაარსით აღჭურვოს: თხზულებამ ამ მხრივ გამოწაკლისი არ იცის:

ვერ ვეგების თუმცა არა აღესრულა ესე ქუეყანასა ზედა – VI A, 48 (= რომ არ აღესრულოს).

(მათ) ენება, რა მთამცა უკუნ-იქცეს მთადვე – XII,18 (= რომ უკან დაბრუნდნენ).

არა იყო იგი ვერძი ქორციელი, ვითარ უკუემცა ვინ დაკლა იგი – XXIX,12 (= რომ ვინმემ დაკლას იგი).

არა ესუა მას შვილი, რომელმანმცა დაიპყრა მეფობამ შემდგომად მისსა – XXXIX,8 (= რომელიც დაიპყრობდა).

არავინ დაშთა ჰურიათაგანი, რომელსამცა თანა იპოვა წერილი ნათესავთა შობისამ – XLIV,1 (= რომელთანაც აღმოჩნდებოდა).

ჰურიანი არა შეიწყნარებენ, რა მთამცა გუჩუენეს ჭეშმარიტი – XLIV,4-5 (= რომ გვიჩვენონ; რომ ეჩვენებინათ).

არარამ აქუნდა მათ, რა მთამცა დაუგეს რამ და აჭამეს – XLVI,13 (= რომ დაეგოთ და ეჭმიათ).

რაც შეეხება „განძთა ქვაბის“ ქართული თარგმანის სტილს, იგი მეტად თავისებური სტილით ხასიათდება (ბიბლიაში მოთხრობილი ფაქტების მოკვეთილი წინადადებებით აღნიშვნა, თემიდან თემაზე უეცარი გადასვლები ხშირად მათ შინაარსში აზრობრივი კავშირის არსებობის გარეშე და სხვ.), მაგრამ იგი მთლად მთარგმნელისეული არ უნდა იყოს. ამ თავისებურებას ძირითადად პირველწყარო განსაზღვრავს. თვითონ წყაროტექსტი ჩანს თავისებური სტილით შეთხზული.

## ტექსტისათვის

„განძოთ ქვაბის“ წინამდებარე გამოცემა რიგით მესამეა. იგი თითქმის მთლიანად იმეორებს ჩვენსავე 1993 წლის, რიგით მეორე, გამოცემას (ამ თხზულების პირველი გამოცემა, როგორც ზემოთაც გვაქვს აღნიშნული, ე. თაყაიშვილს ეკუთვნის – 1906 წ.).

გამოცემა ემყარება ოთხ ძირითად ხელნაწერს, რომლებიც აღნიშნულია ABCD ლიტერებით:

A – ქუთ. 128,

B – A 153,

C – S 30,

D – პეტერბურგის ნაციონალური ბიბლიოთეკის იოვანე ბატონი-შვილის კოლექციის № 10 ხელნაწერი.

გარდა ამისა, გამოცემაში ცალკეულ შემთხვევებში გამოყენებულია აგრეთვე H 433 ხელნაწერის ტექსტი (ლიტერით E) და თხზულების პირველი ხუთი თავის ფარგლებში H 1064 ხელნაწერის ტექსტი (ლიტერით K). რადგან ამ ორ ხელნაწერს აღმოაჩნდა ზოგიერთი არქაული, წყაროსმიერი წაკითხვა.

ხელნაწერების ორთოგრაფია გამოცემაში კლასიკური ქართულის ნორმათა მიხედვით ჩასწორდა. ორთოგრაფიული ვარიანტები სქოლიოებში არ აგვისახავს, სქოლიოებში არა გვაქვს ასახული აგრეთვე **ა**-ს სწორების შემთხვევებიც (ჩვენ მიერ აღდგენილი **ა** კავებშიც არ ჩაგვისვამს), მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ შემთხვევებში **ა**-ს ხმარების მიხედვით ტექსტის სწორება ტექსტის მორფოლოგიურ ნორმათა მიხედვით სწორებასაც გულისხმობს.

ტექსტში კუთხოვან კავებშია ჩასმული სიტყვები, რომლებიც ხელნაწერებში გამოტოვებულია, და ჟან-პიერ მაესა და ჩვენს მიერაა აღდგენილი.

ტექსტი დაყოფილია თავებად და მუხლებად სუ-მინ რის მიერ გამოცემული სირიული ტექსტის მიხედვით: *La Caverne des Trésors, Les deux recensions syriaques, éditées par Su-Min Ri, Lovanii in Aedibus E. Peeters, 1987. Corpus Scriptorum christianorum Orientalium, Scriptores Syri, t. 207.*



1. (A24r) თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა ეფრემისი:  
 თარგმანებად დაბადებისათჳს ცისა და ჭუეყანისა,  
 და აღამისთჳს, ვითარ გიცვალეს  
 გუამი მისი და დაგარხეს ბოლბოთას;  
 და ცვალებად ნათესავთად,  
 ვითარ ვპოვეთ ნათესავობად ქრისტისი ჳორცითა,  
 ვითარცა წერილ არს სახარებასა ლუკას თავსა,  
 აღამისითგან, ყოველთა მამისა, ვიდრე ქრისტესამდე,  
 უფლისა და ღმრთისა ჩუენისა

2. (პირველად ხოლო ესე თარგმანა წმიდამან მამამან ჩუენმან 10  
 ეფრემ) და შობამ მამათმთავართამ ადამისითგან ვიდრე ქრისტე-  
 სამდე, მაცხოვრისა და ღმრთისა.

თავი I

3. იყო დღესა პირველსა, რომელ არს თავი ყოველთა დღეთამ,  
 კურიაკე, რაჟამს დაბადა ღმერთმან ცამ და ქუეყანამ და ყოველი 15  
 ძალი ცათამ, დღე და ღამე და ქარი ძრვისამ. (1)

4. და სული წმიდამ იქცეოდა ზედა წყალთა, რომელი-იგი

---

1 წმინდისა D. წმიდისა... ეფრემისი ] ეფრემისა K. 2 თარგმანებად ] თარ-  
 გმანი CDEK. 3 აღამისთჳს, ვითარ ] ამისთჳს და ვითარ იგი K. მისცვალეს  
 CDK. 5 ცვალება CD. ნათესავთამ ] ნათესათა და K. 6 ჳეპოვეთ B, ეპოვეთ  
 D. ეპოეთ K. ნათესაობა CD. ნათესაევი K. 7 თავსა... მამისა ] თავისასა  
 აღამისთჳს მამისა ყოველთასა K. 8 ადამისიდგან BC. მამისა ] მამათა CD. 10  
 პირველად... ღმრთისა ] პირველ თარგმანა წმიდამან ეფრემ K. ჩუენმა D. 11 და  
 - CD. ადამისიდგან C. 11-12 ქრისტესამდე E. 12 მაცხოვარისა CD. და -  
 AB. ღმრთისა + გეაკურთხენ(6) მამაო B. 15 ყოველი + რამ არს მას შინა CD.  
 17 რომელი-იგი ] რომელი CDE.  
 (1) დაბ. 1,1.

არს თანამოსაგრე ერთისა სამებისაჲ. (1)

5. და ბრიალებდა წყალთა მათ ზედა და იკურთხეოდეს მისგან, ვიდრემდის იქმნეს წყალნი მშობელ სიტფოჲსაგან ბუნებისა,

6. რამეთუ შეეზავა, ვითარცა საფუჲვარი, დაბადებაჲ.

5 7. და ვითარცა მფრინ(24vA)ველმან რაჲ დაატფნის კუერცხნი ფრთითა თუსითა და სიცხისაგან მისისა, ვითარცა ცეცხლისაგან, შეიქმნის მართუე კუერცხსა შინა, ეგრეთეც სული ნუგეშინისმცემელი ბრიალებდა ზედა წყალთა და შერთო საფუჲვარი დაბადებისაჲ განგებითა (1vC) სულისა წმიდისაჲთა.

10 8. და მეორესა დღესა დაბადა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანაჲ და უწოდა «ცაჲ თხელი», რაჲთა ასწავოს ყოველთა კაცთა, რამეთუ რაჲ არს ბუნებაჲ ცისა ამის უმაღლესისა, ამისთვის, რამეთუ უქუეს არს მისსა ხილვად. რამეთუ ცაჲ უმაღლესი, ვითარცა ცეცხლი არს,

15 9. ხოლო ცაჲ მეორე – ვითარცა ნათელი და ცაჲ ქუშ – მყინვარი. და არს იგი ბუნებით შუენიერ, ამისთვის ჰქუან «ცაჲ თხელი». (2)

10. და განყვნა ღმერთმან დღესა მეორესა: წყალნი რომელნიმე სიმაღლედ ზე და წყალნი რომელნიმე – ქუე.

20 11. და ესე წყალი, რომელი ზე არს ცასა, დღესა მეორესა აღვიდა და შეკრბა, ვითარცა ნისლი, შუენიერად. ეგრეთ აღვიდა და არს იგი დამოკიდებულ ზე: არცა დის, არცაღა თუ იძრვის (25rA) ადგილისაგან. (3)

1 ერთისა – CD. 2 ბრიალებდა ] შრიალებდა A. წყალთა მათ ზედა ] ზედა წყალთა CD. იკ~ხოდა B. 4 რამეთუ ] რათა CD. შეაზავა CD. საფუჲვარი CDE. 5 და – CD. დაათბნის CD. 6 მისისა ] თუსისსა CD. 7 შექმნის CD. 8 ბრიალებდა ] შრიალებდა A. საფუჲვარი CDE. 10 ღმერთმან – ABE. 11 ასწავოს AB. 12 რამეთუ – CD. რა CD ] – ABE. 13 მისსა ] მის AB. რამეთუ – B. 15 ხოლო ] რ~ ABE. 16 მყინვარე B. ბუნებითა CD. შუენიერი CD. 18 განუყუნა D. 19 ზმ AE. ქუშ A. 20 წყალნი CD. რომელი ] რომელნიმე CD. ზე ] ზედ CD. 21 შეკრბა BCD. აღვიდეს B. 22 დამოკიდებულ ] მოკიდებულ C, მოკუდინებულ D. ზე ] ზედა CD. და არცა CD. დის + იგი CD.

(1) დაბ. 1,2. (2) დაბ. 1,6-8. (3) დაბ. 1,6-8.

12. და დღესა მესამესა შემზადნა წყალნი, რომელ არიან ცასა ამას თხელსა ქუეშე, და შეკრიბნა ერთსა ადგილსა და გამოაჩინა კმელი. (1)

13. და ვითარცა შეკრბეს წყალნი პირისაგან ქუეყანისა, გამოჩნდა ქუეყანაჲ ჩჩული, თუნიერ სისქისა. 5

14. და შეკრბეს წყალნი ზღუად და ქუეშე ქუეყანასა და ზოგი ადვიდა ზე. (2)

15. და დაბადა ღმერთმან ქუეყანაჲ და აღმოაცენა მცენარე, და რაჲთა აღმოცენებაჲ იყოს მცენარისაჲ სიცხისაგან და სიგრილისა შენელებულ (3) 10

16. მსგავსად ღრუბლისა, რომელი არს ზედა წყალთა.

17. და მასვე დღესა მესამესა შემზადა ღმერთმან ქუეყანაჲ და აღმოსცენდეს მწუანვილნი.

18. და მუცლად-ილო შინაგან ხემან დათესვაჲ ნაყოფთა გამოღებისა ძირით და ძარღვთ. (4) 15

19. და მეოთხესა დღესა დაბადა ღმერთმან მზე და მთოვარე და ვარსკულავნი. (5)

20. და ვითარცა მიეფინა სიტფოჲ პირსა ზედა ქუეყანისასა, განკმა სიჩჩოჲ იგი, რამეთუ აღილო სინედლე იგი წყ(2rC)ლისაჲ.

21. და ვითარ განკურდა ქუეყანაჲ, აღმოსცენდა ყოველი (25vA) 20 ხე ძირით, რომელი-იგი აღმოსცენდა დღესა მეოთხესა. (6)

22. და დღესა მეხუთესა შემზადა ღმერთმან წყალთა შინა, რაჲთა შობონ ყოველი ფრთოვანი, განწვალებული სახითა ხილვად, და ყოველი იძრვისი წყალთა შინა და ყოველი, რომელი ქუე

1 და - CD. 4 ვითარცა - B. 5 ჩუილი C, ჩვილი D. 6 და (2) - CD. ქუეყანისა C. 7 ზმ A. 9 აღმონაცენები E. ~ იყოს აღმოცენება CD. და - CD. 10 შენელებულ ] დაბნელებულ E. 11 რომელი არს ზედა წყალთა CDK ] - ABE. 12 ღმერთმან - ABE. 13 მწვანვილნი D. 15 ძირითა CD. ძარღვითა CD. 16 მთუარე C. მთვარე D. 19 და განკმა CD. სიჩო CD. რამეთუ ] რათა CD. აღილოს CD. 20 ვითარცა B. გაკურდა D. და აღმოსცენდა CD. 21 ძირითურთ CD. 23 ყოველი E. ფრთოვანი E + და CD. განწვალებულნი E.

(1) დაბ. 1,9-10. (2) დაბ. 1,9-10. (3) დაბ. 1,11-13. (4) დაბ. 1,11-13. (5) დაბ. 1,14-19. (6) დაბ. 1,14-19.

ბურების და რომელი ზე ფრინავს: და ვეშაპი იგი დიდი, რომელი წერილ არს «იობსა». და მფრინველნი ზე კაერთა და მფრინველნი წყალთა შინა. (1)

23. და დღესა მეექუსესა, პარასკევსა, დაბადა ღმერთმან ყოველი პირუტყვ და ყოველი მკეცი და ნადირი და ყოველი იბრვისი ქუეყანასა ზედა; (2)

24. მასვე დღესა დაბადნა ადამ და ევა ერთბამად. (3)

25. ხოლო დღესა მეშუდესა, შაბათსა, განისუენა ღმერთმან ყოველთაგან საქმეთა თჳსთა და უწოდა «შაბათი». (4)

10

## თავი II

1. დაბადებაჲ ადამისი ესრეთ იყო: (5)

2. დღესა პარასკევსა, ჟამსა პირველსა, თქუა ღმერთმან: „დაყუდენით, ყოველნიო ძალნიო ცისანიო!“

3. და თქუა ღმერთმან — მამამან, ძემან და სულმან წმიდამან 15 (არამედ არა სახელდებულ იყო წუთ მამასა მამაჲ, არცა ძესა — ძე, არცა სულსა წმიდასა — სული, არამედ ელოდა (26rA) ქრისტეს კორცთშესხმასა, რაჲთა იდიდოს სამებაჲ წმიდაჲ იორდანესა ზედა), არამედ [არა] ესრეთ თქუა დამბადებელმან: „კვმნე კაცი ხატად და მსგავსად ჩემდა“ და [არა] გამოაჩინა სამებაჲ, 20 არამედ არა სახელ-სდვა ჟამსა მას, და თქუა ღმერთმან: „კვმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩუენდა!“ (6)

4. და ვითარცა ესმა ანგელოზთა ესე სიტყუაჲ, შეშინდეს და თქუეს ურთიერთას, რამეთუ:

---

1 ქუშ A. ბურებოდეს C. დიდი — C. 2 იობისსა C. მფრინველი C. 3 მფრინველი C. 5 და — CD. 7 და მასვე CD. დაბადა CDE. 9 თჳსთა ] მისთა CD. 12 პირველსა ] ა AB. 13 ყოველნიო ძალნიო ] ქუშყანაოჲ ძლიეროჲ B. 14 ღმერთმან + და AB. 15 იყო ] ყო CD. წუთლა CD. 16 ელოდდა AB. 17 კორცთშესხუმასა B. წმინდა D. 18 არამედ ] ვითარმედ ABE. [არა] + Mahe. კვმნეთ ADE. 19 ჩემდა ] ჩუენდა AB. 19-21 ჩემდა და გამოაჩინა... მსგავსად — B. 20 მას — CD. 23 ურთიერთარს A.

(1) დაბ. 1,20-21. (2) დაბ. 1,24. (3) დაბ. 1,27. (4) დაბ. 2,1. (5) დაბ. 5,1. (6) ლ. 3,21-22. დაბ. 1,26.

5. „ღღეს ვიხილეთ საკურველი ღიღი, რამეთუ მსგავსი ღმრთისა დაებადების.

6. და ვხედა(2vC)ეთ მარჯუენესა ღმრთისასა, ვითარ განმართა ყოველსა ქუეყანასა და გარდამატებულად მისგან შეკრიბნა ყოველნივე, რომელნი დაბადნა ნებსა ქუეშე თჳსსა“.

7. და იხილეს ანგელოზთა, რამეთუ ღმერთმან აღიღო ყოველისაგან ქუეყანისა მცირედ-მცირედ მიწაჲ და ყოველისაგან ბუნებისა წყლისა – ნაწუეთი წყალი და ყოველისაგან ჰაერისა – სული მბერავი და ბუნებისაგან ცეცხლისა – სიტჳომ მკურვალე, რამეთა იყოს კაცი აგებულ ოთხთაგან ბუნებათა. (1)

8. და იხილეს ანგელოზთა ოთხი ბუნებაჲ ნებსა შინა ღმრთისასა: სიცივე და სიცხე, ნოტიჲ (26vA) და კმელი.

10. და ამის ოთხისა სახისა უძღურისაგან დაბადა ღმერთმან ადამ.

11. და შეკრიბა ყოველით კერძო მიწისაგან მცირედ-მცირედ, რამეთა მოუღრიკოს ბუნებაჲ მიწისაჲ ადამს და ნაწუეთი წყალთა ყოველთაჲ, რამეთა დაემორჩილოს ყოველივე, რამ არს წყალთა შინა და ყოველთა ზღუათა და მდინარეთა და[...] და ყოველთა ჰაერთა ზედა მთავრობდეს და, რამეთა იყვნენ მის ქუეშე ყოველნი მფრინველნი, რომელი-რამ არს, და სიცხისაგან ცეცხლისა ამის-თჳს, რამეთა იყოს თანამღვომ ანგელოზთა საზრდელითა. (2)

12. და დაბადა ღმერთმან ადამ კელითა თჳსითა წმიდითა მსგავსად ზატიისა თჳსისა. (3)

1 ვიხილავთ CD. საკურველი ]საკურთხეველი B, საკურთხეველსა CD. ღიღსა CD. 2 დაიბადების CD. 3 და ვხედაეთ ]ვიხილავთ CD. მარჯუენასა D. 4 ყა ქენა A. შეკრიბიან D. 5 ყოველნი CD. დაბადნა + ღმერთმან CD. 6 აღიღოს B. 7 ქუეყანასა D. მცირედ-მცირედ CD. 8 წყლისა + მცირედ CD. ~ წყალი ნაწუეთი CD. აერისა CD. 10 იყოს ]ეყოს E. 11 ნებასა D. 13 ამის ]მის AB. ოთხისა – CD. უძღურისაგან დაბადა ღმერთმან ]ბუნებისაგან დაბადა უძღურებისაგან CD. 15 მცირედ მცირედ – CD. 16 მიწასა CD ]+ მცირედ B. 16-17 ~ ყოველთა წყალთა CD. 17 ყოველი CDE. 18 ყოველთა – CD. 18-21 და ყოველთა ჰაერთა... ცეცხლისა ამისთჳს K ]– ABCDE. 21 თანამღვომ ]მოდგამ CD. 22 და – CD. წმი(ნ)დათა CD. 23 ზატიითა თჳსითა CD.

(1) დაბ. 2,7. (2) დაბ. 1.28. (3) დაბ. 1,27; 2,7.

13. და რაჟამს იხილეს ანგელოზთა ხატი ადამისი დიდებულად, შეეშინა მისგან ხილვითა პირისა მისისაჲთა,
14. რამეთუ ბრწყინვიდა ბრწყინვალეობითა დიდებისა ღმრთისაჲთა. და გამოვიდოდა, ვითარცა მზის წუერი, სინათლე თუ-  
5 ალთაგან მისთა და, ვითარცა ალი ცეცხლისაჲ, ზარი.
15. და ვითარცა განერთხა გუამი ადამისი და შთაებერა სული, და აღეპართა ზე საშუალ ოდენ გულსა ქუეყანისასა, (1)
16. დაიდგნა ფერკნი ადგილსა მას, სადა აღეპართა ჯუარი მკსნელისა ჩუენისა იესუ ქრისტესი.
- 10 17. და ვითარცა დაიდგნა ადამ ფერკნი, (27rA) შეემოსა სამოსელი სამეფოჲ და და(3rC)ელგა თავსა გურგუნი მეფობისაჲ. (2)
18. მაშინ იქმნა ადამ მეფე და მღვდელ და წინამსწარმეტყუელ.
19. და მუნ დასუა ღმერთმან საყდარსა პატივით
20. და შემოკრიბნა ყოველნი პირუტყუნი. და წარმოდგეს წი-  
15 ნაშე ადამისა და უწოდა ადამ ყოველთა სახელები მათი, (3)
21. და შეუვრდეს ყოველნივე.
22. მაშინ ესმა ანგელოზთა ცით გამო საშინელი სიტყუაჲ ღმრთისაჲ, და პრქუა მას:
23. „მ ადამ, აჰა ესერა, გყავ შენ მეფე და მღვდელ და  
20 წინამსწარმეტყუელ და მთავარ და უფალ და განმგებელ. და ყოველნი დაბადებულნი დაგემორჩილნეს შენ,
24. რამეთუ შენ ხოლო მარტოსა მიგეც კელმწიფებაჲ ყოვ-

1 და - ABE. ო ანგელოზთა იხილეს CD. 3 რამეთუ ]რათა CD. ბრწყინვიდა + დიდებითა C, დიდებულთა D. 4 გამოვიდა CD. მზის წუერი + სიმართლე და CD. 5 ზარი - E. 6 შთაებერა CDE. 7 ოდენ - CD. 9 ჩუენისა - CD. ი<sup>ა</sup>ვს B, იესოს CD. 10 ადამ - CD. ფერკნი + ადგილსა მას, სადა აღეპართა ჯუარი, ადამ CD. შეემოსა BCD. 11 დაეეღ<sup>ა</sup> B, დაადგა CD. 12 და მღვდელ და წინამსწარმეტყუელ ]მღურდელ წინამსწარმეტყუელად CD. 13 და - CD. დაასვა C, დასვა D. პატივითა CD. 15 ადამისსა CD. ადამ E ]- ABCD. ყოველთა ]ყოველი CD. მათი - AB. 16 შეუვრდეს ACDE. 17 ანგელოზთა + დ<sup>ა</sup> ABE. 19 მი CD. და (I) - BCD. მღვდელ CD. 20 და (I) - CD. გამგებელ D. 22 რამეთუ შენ ხოლო მარტოსა ]რათა ხოლო მარტოსა დაგემორჩილნეს (+ შენ D) CD. მიგეც ]და მიგეც CD.

(1) დაბ. 2,7. (2) შდრ. ფს. 8,6. (3) დაბ. 1,19-20.

ლისაჲ, რომელი-რაჲ დავბადე“.

25. და რაჟამს ესმა ანგელოზთა სიტყუაჲ ესე ღმერთისაგან, მოდრკეს და თაყუანის-სცეს ღმერთსა და მერმე ადამს, ხატსა ღმერთისასა, ანგელოზთა და მთავარანგელოზთა, საყდართა, უფლებათა და მთავრობათა და კელმწიფებათა, ქერობინთა და სერაბინთა დიდებულთა, წმიდათა.

### თავი III

...8. მაშინ აღიყვანა ღმერთმან სამოთხეს ადამ, და კუალად მუნ თაყუანის-სცეს ანგელოზთა წმიდათა და სერაბინთა. და აქებდეს და აკურთხევდეს ქერობინნი ღმერთსა და (27vA) აღიდებდეს დიდებითა. (1)

9. და ვითარცა შევიდა ადამ სამოთხეს,

11. დაწვა, რამეთუ დააძინა ღმერთმან, (2)

12. და გამოულო წიბოჲ ერთი ფერცხალი გუერდისაგან მარჯუენისა და დაბადა მისგან ღმერთმან ევა. 15

13. და განიღუდა ადამ, იხილა და განიხარა. (3)

14. და იყვნეს ერთობით სამოთხეს შემოსილნი დიდებითა სამსა ჟამსა დღისასა. (4)

15. რამეთუ სამოთხე არს ზე ჰაერთა, უმაღლეს ყოველთა მათთა ოცდაათითა ფარსახითა და გარე-მოსდგამს ყოველსა ქუეყანასა. 20

1 რომელი-რაჲ ] რომელი CD. 3 თაყუანი-სცეს BCD. 5-6 ქერობინთა და სერობინთა AB ] სერაბინ ქერაბინთა C, სერობინ ქერობინთა D. 6 და დიდებულთა CD. 8 სამოთხესა CD. ადამ - CD. 9 მუნვე CD. თაყუანი(ს) სცენ AB. და (I) - CD. სერობინთა CD. 9-10 და აქებდეს - ABE. 10 აკურთხებდეს D. 10-11 აღიდებენ CD. 12 სამოთხესა CD. 13 რამეთუ დააძინა ღმერთმან ] რა და დააძინა ღ B, რათა დააძინა CD. 14 გამოულო + ღმერთმან CD. 15 მისგან - CD, ო ღმერთმან მისგან B. 16 განიღუდება C. განიხარა + და თქუა: აჰა ჯორცნი ჯორცთა ჩემთა და ტუალნი ტუალთა ჩემთანი E. 17 სამოთხესა CD. შემოსილი D. 18 ო ჟამსა სამსა CD. 19 უმაღლესი CD. 20 ოცდაათითა ] ლ AB, ოცდაათ E. ფარსახ AB. გარე-მოსდგამს ABE.

(1) დაბ. 2,15. (2) დაბ. 2,21-23. (3) დაბ. 2,21-23. (4) შდრ. დაბ. 2,25.

16. ვითარცა თქუა მოსე წინაჲსწარმეტყუელმან: „დაასხა ღმერთმან სამოთხე ედემს და დაადგინა ადამ, რომელი დაბადა“. (1)
17. და ითარგმანების ედემი («ეკლესიაჲ წმიდაჲ») და ეკლესიაჲ ი(3vC)თარგმანების ებრაულად («სული წმიდაჲ»).
- 5 რამეთუ ღმერთმან განფინა სიმართლით ყოველთა ერთა ზედა, და ბერძულად ითარგმანების: («შესაკრებელი წმიდაჲ»).
18. რამეთუ ღმერთმან უსწრო მეცნიერებითა თჳსითა, რადიგი ეგულებოდა ყოფად ეშმაკსა ადამისა, უსწრო მოწყალებითა, ვითარცა თქუა დავით წინაჲსწარმეტყუელმან: „უფალო, შესავე-  
10 დრებელ მეყავ ჩუენ ნათესავითი-ნათესავადმდე“, (2)
19. ოდეს-იგი ევედრებო(28rA)და ღმერთსა განთავისუფლებისათჳს ერისა, და თქუა: „მოიქსენე ეკლესიაჲ შენი, რომელ მოიგე სამკედრებელად შენდა“ (3)
20. მოწყალებითა შენითა, რომელ აღმითქუ ჩუენ, რამეთუ შენ  
15 ხარ მზრდელი ერისა შენისაჲ
21. სიმართლით ეკლესიასა წმიდასა – სამოთხესა, რომელ არს განსასუენებელი სულიერი და ქუეყანაჲ ცხოველი, რომელი აღუთქუა ღმერთმან წმიდათა ადამის გამო.

#### თავი IV

- 20 1. რამეთუ ადამ იყო მღვდელ, მეფე და მთავარ და შეიყვანა ღმერთმან სამოთხეს, რადთა ჰმსახურებდეს მეცნიერებით, ვითარცა-იგი წამა მოსე წინაჲსწარმეტყუელმან, ვითარმდე: „იყოს საქმე ესე სიბრძნითა მღვდლობისაჲთა და მან დაიცვას მცნებაჲ,

1 მოსე – CD. დაასხნა B. 2 ადამ – ABE. 3 ედემი K ] ადამი ABCDE. 4 ებრაულად + და CD. 7-8 უსწრო მეცნიერებითა თჳსითა, რად იგი ეგულებოდა ყოფად ეშმაკსა ადამისა – CD. 10 მეყავნ ABE, მეყავ C. ნათესავით-ნათესავადმდე AC. ნათესავითი-ნათესავადმდე D. 12 თქუა – ABE. შენი – CD. 14 რომელი CD. აღუთქ CD. 15 მზრდელი + ყოველთა და CD. 16 ეკლესიისა წმიდა CD ] + და AB. 17 ქუეყანად CD. 18 ღმერთმან – CD. 20 რამეთუ ] ხოლო CD. მრუდელ C, მღუდელ D. 21 სამოთხესა CD. ჰმსახურებდენ B. მეცნიერებითა CD. 22 იყო CD. ესე – ACDE. სიბრძნისთა მღვდლობისათა CD. დაიცოს CD.

(1) დაბ. 2,8. (2) შდრ. ფს. 90,2. (3) შდრ. ფს. 74,2.



რომელი მიეცეს“. რამეთუ ამცნო

2. და დაადგინა ადამ და ევა სამოთხესა და უჩუენა ხე ცხორებისაჲ შუა სამოთხესა. (1)

3. და მისგან იყო ჯუარი იგი ქრისტესი, მაცხოვრისაჲ. და ესე არს ხე ცხორებისაჲ, საბერკი – გამოსახვით შუა ქუეყანასა. 5

4. და ვითარცა იხილა ეშმაკმან, რამეთუ ადამ და ევა იდიდებინ სამოთხეს, განრისხნა სიბოროტითა თუსითა, რამეთუ შეშურდა მათი.

5. და შევიდა მუტელსა გუელისასა (28vA) და აღიღო ხე ჰერთა. 10 და გუელმან შეიყვანა ეშმაკი სამოთხედ.

6. რამათუს შევიდა გუელითა ეშმაკი სამოთხედ?

7. ამისთუს, რამეთუ უწყოდა, ხილვაჲ მისი ვითარ უშუერ და სატუხელ არს და უკუეთუ იხი(4rC)ლოს იგი ევა, ივლტოდის მისგან. 15

8. და ემსგავსა იგი მფრინველსა მას, რომელსა ჰრქვან ზორაყი, რომელი განასწავლიან ბერძენთა ზრახვასა კაცებრისა. რამეთუ ესრეთ ყვიან: მოიღიან სარკე და წინა მიუპყრიან მფრინველსა მას. და ზრახვენ კაცი უკუნა კერძო სარკესა მას. 20

9. და ოდეს ესმინ მფრინველსა მას სიტყუაჲ, მიხედნის კმასა და იხილის სარკესა მას შინა ხატი თუსი, რამეთუ ჰგავნ მფრინ-

---

1 მიეცეს ] მიეცა მას CD. რამეთუ ] რათა CD. 2 ხე K ] სახე ABCDE. 3 ცხორებისა CDE ] + და ვითარცა იხილა ეშმაკმან საბერკე სახე გამოსახვითა CD. სამოთხესა ] ქუეყანასა CD. 4 ქრისტეს ABE ] + და CD. 5 ცხორებისა CDE. საბერკი გამოსახვით შუა ქუეყანასა – CD. 7 ვითარცა – CD. იხილნა CD. 8 სამოთხესა CD. განრისხდა B. 10 მუტელსა – CD. და – CD. 11 და – C. გუელმან + და CD. მიიყუნა CD. სამოთხესა CD. 12 ო ეშმაკი გუელითა CD. სამოთხესა CD. 13 ამისთუს + რამათა დაიმალოს მუტელსა შინა გუელისასა AB. რამეთუ ] რა B. ვითარ EK ] – ABCD. უშუერ და ] უშუერ(რ)ად CD. 14 და (II) – CD. 14 ივლტოდის + იგი ABE. 19-21 და ზრახვენ კაცი... მფრინველსა მას – B. 21 სიტყუაჲ + კაცისა E ] – CD. 22 რამეთუ ] რათა CD.

(1) დაბ. 2,8-9:

ველსა. განიხარის ფრიად, ჰგონებენ, თუ ვითარმედ მოყუასი მისი მოსრულ არს და ზრახავს.

11. და ისწავის სიტყუამ კაცებრივი მფრინველმან სიმშუდით, საზრახავნი იონთა ენისა და ყოველი ზრახვამ.

5 12. ეგრეთ შევიდა ეშმაკი გუელისა პირსა და ასწავა ჟამი თუალთა და ყურთა და პირისპირ ეზრახა ევას (1)

13. და ტყუილი დაჯერა (რამეთუ დაქსნილ არს ბუნებად (29rA) დედაკაცისა და დაიჯერებს ყოველსა სიტყუასა). (2)

10 14. ხოლო რაჟამს ესმა ევას გუელისაგან მიზეზი იგი ხისად, მოსწყყდა ნაყოფი ხესა მას ურჩებით და ჭამა, (3)

15. და იხილა ბუნებად თესი. (4)

16. და ვითარ ცნა სიშიშულე თესი, წარვიდა და დაიძალა ხესა სხუასა ქუეშე და დაიძალა სარცხუენელი იგი თესი ფურ-  
კლითა ლელუსამთა. (5)

15 17. და მოუწოდა ადამს. და ვითარცა მოვიდა მისა, მისცა მას ხისა მისგანი, რომელი მან ჭამა ნაყოფი. (6)

18. და ვითარცა ჭამა ადამ მისგან, ცნა სიშიშულე თესი. (7)

22. ამისა შემდგომად ექმნა მათ სამოსელი წყევისად, (8)

20 23. და შეემოსა მათ ესე ტყავი უძლური, რომელი გარ-  
დართხმულ არს კორცთა ამათ მტკივანთა. (9)

1 მფრინველსა ]მან E]- D. ფრიად + და CD. ჰგონებენ A, გონებენ C, გონებს E ]გონება D. თუ E]- ABCD. 3 ისწავლის C. კაცობრივი BCDE. 3-4 სიმშუდითა CD. 4 საზრახავნი ]საზრახავი CD]ყოველნი ზრახუანი E. იონთა ენისა ]ლონისა ენისათა CD. ყოველი ზრახვამ ]სხუანიცა E. 5 გუელისა ]გულისა CD. 7 ტყუილი CD. დაუჯერა CD. რამეთუ ]რათა CD. 10 ურჩებითა C. 11 თესი ]თავისა თესისა CD. 13 და - ABE. 15 და (II) - ABE. მისსა CD. 16 მას ]მასცა CD. მისგან CD. ჭამა + მისგან CD. 17 ადამ - CD. მისგან + ნაყოფი CD. ცნა ]გამოჩნდა AB, გამოჩნდა E. თესი ]მისი ABE. 18 ამის(ა) CD. 19 შეემოსა მან CD. 19-20 გარდათხმულ CD.

(1) შდრ. დაბ. 3,1-5. (2) შდრ. დაბ. 3,1-5. (3) შდრ. დაბ. 3,6. (4) შდრ. დაბ. 3,7. (5) შდრ. დაბ. 3,7. (6) შდრ. დაბ. 3,6. (7) შდრ. დაბ. 3,7. (8) შდრ. დაბ. 3,21. (9) შდრ. დაბ. 3,21.

თავი V

1. ხოლო რაჟამს გამოასხნა ღმერთმან სამოთხით ურჩებისა მისთვის, მწუხარე იყვნეს ფრიად. (1)
2. მაშინ (4vC) უქადა ღმერთმან ადამს და პრქუა:
3. „ნუ სწუხ, რამეთუ მე უკ-მოგიყვანო შენ ადგილსავე შენსა. 5 იხილე, ვითარ-ესე მიყუარ შენ, (29vA)
4. რამეთუ დავწყევე ყოველი ქუეყანაჲ შენ წილ და შენ არა დაგწყევე. (2)
5. და გუელსა უკუნ-უქციენ ფერკნი მისნი მუცელსავე მისსა და განუწესე მას საზრდელად მიწაჲ; და ევა დაგამქეველუ შენ 10 მსახურად ამისთვის, (3)
6. რამეთუ შეურაცხ-ყო მცნებაჲ ჩემი. განვედ ამიერ და ნუ სწუხ შენ. (4)
7. არამედ ოდეს განსრულდეს ჟამი იგი, რომელი განვაწესე შენ ზედა ყოფისათვის შენისა ქუეყანასა მას, უცხოსა და დაწყ- 15 ეულსა, მოგივლინო შენ ძე ჩემი, (5)
8. რომელი გარდამოკდეს და გიქსნეს შენ; და შევიდეს წმიდ-ისა ქალწულისა და კაცობრივ გამოვიდეს და იქმნეს კაც,
9. და მან შეგიყვანოს შენ სამოთხესა.
10. არამედ ამცენ ძეთა შენთა და არქუ მათ, რამთა დაკრძა- 20 ლონ გუამი შენი შემდგომად სიკუდილისა შენისა და შემურონ იგი მურითა და შტახსითა და გუნდრუკითა. და დაგმარზონ შენ ქუაბსა მას შინა, რომელსა დაგამკედრებ შენ (30rA) დღეს ვი-

2 ურჩებისა + მისგან B. 5 რამეთუ ] რათა CD. უკუ მოგიყვანო BE. შენ – CD. 6 -ესე – CD. მიყუარ + ესე CD. 7 რამეთუ + დაგივიწყე ABCD. და დაეწყევე CD. წილ – ABE. 8 დაგწყევე CD ] დაგივიწყე AB, დაგივიწყო E. 9 და + პრქუა C, ქვა D. უკუნ-იქციენ CD. მისნი ] შენნი CD. მუცელსა CD. 9-10 მისსა ] თვისსა E, შენსა CD. 10 განუწესა CD. განამქეველუ CD. 12 ყო ] ყვე AB. ამიერ ] ამისთვის CD. 13 შენ ] შენთვის CD. 14 რომელ D. 15 ზედ D. 17 გიქსნას AE. და (II) – CD. 18 იქმნას ABE. 19 სამოთხეს C. 20 არქუ ] კქუ C. მათ – CD. 22 სტახსითა CD. 21 რომელსა ] რომელ არს E ] – CD. დაგამკედრებ შენ ] დაგამკედრებაჲ შენი ABE.

(1) დაბ. 3,23. (2) დაბ. 3,17. (3) დაბ. 3,14,16. (4) დაბ. 3,14,16. (5) გალ. 4,4 (შდრ. ეფეს. 1,10).

დრე მუნ დღედმდე დღესითგან, რომლისაგან განხუალ სამოთხით ქუეყანასა გარეშესა, რომელსა-იგი ყოფად ხარ დღეთა მათ, რომელთა კჳვე ძე შენი.

11. და მან აღილოს გუამი შენი მის თანა და წარილოს ადგილ-  
5 სა მას, რომელი მე უჩუენო მას, შუაგულსა ქუეყანისასა,

12. რამეთუ მუნ იყოს ქსნაჲ შენი და ქსნაჲ ნაშობთა შენ-  
თაჲ“.

13. და გამოუცხადა ღმერთმან ადამს ყოველივე ყოფადი, რომელი შეეძახუოდა მას.

10 14. და ვითარცა გამოვიდეს ადამ და ევა სამოთხით, დაეკმა კარი და დაიდგინა ქერობინი, რომელსა აქუნდა მახული ელვარე. (1)

15. და შთავიდა ადამ მთისა მისგან სამოთხისა მწუხარებითა დიდითა და პოვა ქუაბი მთისთავსა ქუეყანისასა.

15 16. და შევიდეს ადამ და ევა და დაიფარნეს მუნ შინა.

17. და იყვნეს წუთ ქალწულ და (5rC) შეუხებელ ურთიერთას. და ვითარცა უნდა ადამს შესლვად ევაჲსსა, გამოვიდა და შეკრიბა გარემომს სამოთხესა ოქროჲ და გუნდრუკი და მური და შე(30vA)ილო მის თანა ქუაბსა მას შინა და თქუა, რაჲთა იყოს  
20 ადგილი იგი სალოცველ მისდა და ძეთა მისთა, და უწოდა «ქუაბი საგანძური».

18. და გარდამოვიდეს ქუე ვაკესა ადამ და ევა მთისა მისგან წმიდისა. მაშინ შევიდა ადამ ევაჲსსა, (2)

1 დღესითგან BCD. 1-2 სამოთხით ქუეყანასა ] ქუეყანისაგან CD. 2 რომელსა-იგი ] რომელსა C. 3 მათ - CD. რომელსა ABE. შვე CD. შენი ] შენ ABE. 4 და (II) - CD. წარილოს + გუამი შენი CD. 5 მე - CD. მას შუაგულსა - CD. 6 რამეთუ ] რათა CD. ქსნაჲ (II) ] დაქსნა CD. 8 ადამს - CD. 9 მას - CD. 10 გამოვიდა ABE. სამოთხით + და CD. 11 და - ABE. ქერობინი AE, ქერობინი CD. 13 მთისა - ABE. 14 ქუეყანისასა ] ქუე CD. 15 შევიდა ABE. 16 და (II) - CD. 17 და ] პირველ E. შესულა C, შესულა D. 18 და (1) - CD. 19 რაჲთა ] რა C, რაჲ D. 20 სალოცველად CD. მისდა ] მის CD. 22 ქუე ვაკესა - CD. 23 წმიდისა + ქუაბსავე მას შინა CD. მაშინ - CD. ევაჲსსა + და CD.

(1) დაბ. 3,24. (2) დაბ. 4,1-2.

19. მიუღვა და შვა კაენ და დამ მისი ლიუდ მარჩბივად.

20. და კუალად შევიდა ადამ და მიუღვა ევა და შვა აბელ და დამ მისი კალმანა მარჩბივად.

21. და რაუამს აღიზარდნეს კაენ და ძმამ მისი აბელ, ჰრქუა ადამ ევას: „მიიყვანოს კაენ კალმანა, რომელი იშვა აბელის თანა, 5 და მიიყვანოს აბელ ლიუდ, რომელი იშვა კაენის თანა“.

22. ჰრქუა კაენ დედასა თუსსა: „მე შევიროთ დამ ჩემი და აბელ შეიროთს დამ თუსი“ (რამეთუ ლიუდ იყო უშუენიერეს კალმანამს).

23. ვითარცა ესმა სიტყუამ (31rA) ესე ადამს, შეწუხნა ფრი- 10 ად და თქუა:

24. „ჰ, ესე კუალად სხუამ ურჩებად არს მცნებისამ!“, და ჰრქუა კაენს: „და შენ შეიროთავა დასა შენსა, რომელი იშვა შენ თანა?“

25. არამედ აწ შენ მოიღე ნაყოფთაგან ქუეყანისათა და აბელ 15 – ნაშობთაგან საცხოვართასა და აღვიდეთ თავსა მთისა მის წმიდისასა და შეეწიროთ შესაწირავი თქუენტუს მუნ. (1)

26. და ილოცეთ წინაშე ღმრთისა, რამათა შეიკრიბნეთ დედანი თუსნი“.

27. ვითარცა აღვიდეს ადამ, მღლელი პირველი, და კაენ და 20 აბელ თავსა მთისა მის წმიდისასა, შევიდა ეშმაკი გულსა კაენისსა, რამათა მოკლას აბელი ლიუდისთუს, დისა თუსისა. ამის-თუს, არა შეიწირა ღმერთმან შესაწირავი მისი და არცა მიხუდნა

2-3 და კუალად შევიდა ადამ და მიუღვა ევა და შვა აბელ და დამ მისი კალმანა მარჩბივად – CD. 4 და (1) – C. 5-6 მიიყვანოს კაენ კალმანა, რომელი იშვა აბელის თანა და – CD. 6 აბელა C. ლიუდა C. 7 თუსსა + ევას ABE. 9 კალმანისსა BC, კალმანისსა D, კალმანასსა A. 10 შეწუხდა CD. 12 ში CD. კუალად – CD. 12-13 და ჰრქუა კაენს E ] – ABCD. 13 შეიროთავ D. აბელი CD. 16 ნაშობთაგან ] ნაყოფთაგან ABE. ს`ცხრბ`ლთ`სა B. და აღვიდეთ ] აღვედით CD. მთისა – B. 17 შეეწიროთ D. 18 და ილოცეთ ] დალოცეთ CD. შეიკრიბნით CD. 18-19 დედანი თუსნი ] დაანი თქუენნი CD. 20 და ვითარცა CD. მღლელები CDE. 21 აბელი CD. და შევიდა CD. გულსა – D. 21-22 კაენისსა D. 22 ლიუდისათუს D. 23 შეიწირნა B. მისი ] თუსი CD. და – CD.

(1) დაბ. 4,3-4.

ყოვლადვე, ხოლო აბელისი შეიწირა ღმერთმან ამისთჳს, რამეთუ არარაჲ ზაკვად იყო გულსა მისსა. (1)

28. და შესძინა კაენ მწუხარებაჲ და შური.

5 29. და შთავიდეს ველის პირად. და მაშინ აღდგა კაენ აბელის ზედა და მოკლა, რა(5vC)მეთუ ქვითა განტუნა იგი. (2)

30. (31vA) და მუნთქუესვე მოილო წყევამ: (3)

31. და შიშით ძრწოდა ყოველთა დღეთა ცხორებისა მისისათა. მაშინ წარავლინა ღმერთმან უცხოსა ქუეყანასა — ნუდსა ფარულსა, (4)

10 32. და წარიყვანა დაჲ თჳსი ლიუდ მის თანა და იყვნეს მუნ.

### თავი VI (პირველი ნაწილი)

1. ხოლო ადამ და ევა მწუხარებით იგლოვდეს აბელ მართლისათჳს ასსა წელსა.

15 2. და შევიდა ადამ ევამსსა და შვა სეით, შუენიერი ხილვითა, მკურცხი, კაცი ძლიერი, გმირი, და ჰგვანდა მამასა თჳსსა ადამს სრულებითა. (5)

3. და ესე იყო მამაჲ გმირთაჲ უწინარეს წყლითორღუნისა.

4. და შეირთო სეით კალმანა, დაჲ აბელისი, და შვა ენონ. (6)

20 5. და ენონ შვა კაინან და კაინან შვა მალალაელ. ესენი იყვნეს თავ მამათა, რომელნი იშვნეს ადამის დღეთა სიცოცხლისათა. (7)

6. ამისსა შემდგომად ცხოვნდა ადამ ცხრაას ოცდაათსა წელს-

---

1 აბელისა ABE. 2 არა ზაკუა CD. გულსა + შინა B. 3 და (I) — ABE. და შური — B. 4 და (II) — CD. 5 ზედა ] მოკლულად C, მოკლულად D. რამეთუ ქვითა განტუნა იგი ] რათა იგი განტუნინოს ქვითა CD. 6 მუნთქუესვე ] თქსვე ABE. 7 შიშითა CDE. ზრწოდა C. ცხორებისა D. 8 ნუდას CD. 10 ლუდი C, ლიუდი D. 12 მწუხარებითა C. 14-15 ~ ხილვითა შუენიერი CD. 15 მკურცხელი CD. და კაცი CD. ძლიერი + ხილვითა CD. ჰგვანდა C. 16 სრულებით C. 17 წყალთარღუნისა C, წყალთარღუნასა D. 18 სეით — B. კალმან D. 19 კაინა — A. მალელაელ CD, მალელელი E. 22 ცხონდა ABD.

(1) დაბ. 4,4-7. (2) დაბ. 4,8. (3) დაბ. 4,11-12. (4) დაბ. 4,14,16. (5) დაბ. 4,25. (6) დაბ. 4,26; 5,6. (7) დაბ. 5,9.

სა. და ცხორებასა მალაღელისსა (1)

7. მოჰქდა სიკუდილი (32rA) ადამისი.

8. და შემოკრიბნა სეით, ძემან მისმან, ენონ და კაინან და მალაღელ, რამთა იკურთხნენ მისგან. მაშინ ულოცა მათ

9. და ჰრქუა ძესა თუსსა სეითს: „ისმინე მცნებაჲ ჩემი დღეს, 5  
შვილო სეით, რომელ გამცნებ შენ აწ,

10. და შენ ამცენ ენონს და ენონ ამცნოს კაინანს და კაინან ამცნოს მალაღელს, და იყოს მცნებაჲ ესე ყოველთა ნაშობთა თქუენთა ზედა:

11. ოდეს მე მოვკუდე, შემურეთ გუამი ჩემი მურიითა და შტახ- 10  
სითა და გუნდრუკითა და დამდევით მე ქუაბსა მას შინა მრ-  
ჩობლსა საგანძურსა,

12. რამთა იყოს სალოცველ ყოველთა ნაშობთა თქუენთა 15  
ვიდრე ჟამადმდე, რომელსა იყოს აზნაურებაჲ და მსაჯულებაჲ  
და ბჭობაჲ გარემომს სამოთხისა. და მათ აღიღონ გუამი ჩემი და  
წარიღონ მათ თანა. და, სადა გიჩუენოს ღმერთმან, მუნ დადვან –  
გულსა ქუეყანისასა,

13. რამეთუ მუნ არს გამოქსნაჲ ჩემი და (32vA) ყოველთა 20  
შვილთა ჩემთაჲ.

14. ხოლო შენ, შვილო ჩემო სეით, იყავ განმგებელ ერსა 20  
შენსა (6rC) შიშითა ღმრთისაჲთა და შეიკრძალენით თავნი თქუენნი  
შვილთაგან კაენ ძმის მკლველისათა.

1 ცხოვრებისა D. მალღელისსა C, მალაღელისსა D, მალღელისისასა E. 3 შემოკრიბნა მას AB. 4 მალაღელ AD, მალღელაელ C, მალღელიელ E. 5 ოდღეს მცნება ჩემი CD. 6 რომელსა CD. 7 ამცნას D. კაინანს D. 8 მალღელს AB, მალღელიელს C, მალღელიელს E. ესე + თქუენი ჩემი CD. 9 ზედა – CD. 11 სტახსითა AB. შინა – CD. 12 ო საგანძურსა მრჩობლსა CD. 13 სალოცველი D, სალოცავი E. 14 ჟამადმდე რომელსა იყოს ] იყოს ჟამადმდე CD. აზნაურობა CD. მსაჯულობა CD. 15 ბრჭობა CD ] ჰჭ ბჲ B. სამოთხესა CD. 16 და სადა გიჩუენოს ] სადაცა უჩუენოს CD. 18 ჩემი ] ჩნი ABE. 20 ხოლო შენ შვილო ჩემო – BCD. 20-21 სეით იყავ განმგებელ ერსა შენსა – CD. ერისა შენისა E. 21 შეკრძალენ CD. 22 კაენისათა CD. მკულღელისათა CDE.

(1) დაბ. 5, 5.

## თავი VI A (ადამის ანდერძი)

1. და უწყნითმცა ჟამნი დღისა და ღამისანი“. და ვითარცა ესმა სიტყუაჲ ესე ყოველთა, ერთობით აღიღებდეს ღმერთსა. „და რაჟამს იყოს ჟამი, ჯერ-არს ვედრებაჲ ღმრთისაჲ, რამეთუ
- 5 ღმერთმან დამბადა მე და მასწავა ყოვლითურთ, ვითარმედ აღიღებენ მას ცხოველნი, რომელნი არიან ქუეყანასა ზედა, და მფრინველნი, რომელნი ფრინვენ ჰაერთა, და მასწავლნა ჟამნი დღისა და ღამისანი. და მასწავეს დიდებაჲ ღმრთისაჲ ყოველთა ერთა ანგელოზთასა. (1)
- 10 2. ჟამნი დღისანი ი<sup>ბ</sup>:  
3. მ, შვილო სეთი, ჟამსა პირველსა დღისასა უღირს, რაჲთა აღიღებდენ შვილნი ჩემნი ყოველნი ღმერთსა შვერდომით და ევედრებოდინ და მოელოდინ წყალობასა ღმრთისაგან, დამბადებელისა ცისა და ქუეყანისა;
- 15 4. და ჟამსა მეორესა ანგელოზნი აღიღებენ და აქებენ ღმერთსა;  
5. და ჟამსა მესამესა უგალობენ დიდებით მფრინველნი ყოველნი;  
6. და ჟამსა მეოთხესა ლოცვაჲ არს ყოველთა სულიერთაჲ; (33rA)
- 20 7. და ჟამსა მეხუთესა აღიღებენ ყოველნი ცხოველნი იძრვისანი;  
8. და ჟამსა მეექუსესა აღიღებენ ქერობინნი და თაყუანის-

2 უწყითმცა ABE. დღისანი CD. 5 და - CD. ვითარმედ - D. აღიღებდენ C, აღიღებდეს D. 6 არიან ]კლენან E. ზედან D. 7 ფრინვენ ჰაერთა ]არიან და მფრინველნი ჰაერთა თანა არიან CD. დღისანი D. 8 მასწავეს ]მასწავა CD. 8-9 ერთა ანგელოზთასა ]ანგელოზთა E. 10 დღისანი + პირველი D. ი<sup>ბ</sup> ]ი<sup>ბ</sup>ნი A, ათორმეტნი ჟამნი დღისანი E. 11 მი CDE ]- A. 12 აღიღებდენ + ღმერთსა CD. ღმერთსა - CD. და - CD. 13 ევედრებოდინან BCD. მოელოდენ BCD. ღმრთისაგან + და BCD. 13-14 დამბადებელისაგან CD. 15 მეორესა ]ბ<sup>ა</sup> AB. აღიღებენ + და ილოცვენ CD. 17 მესამესა ]გ<sup>ა</sup> AB. უგალობდენ D. დიდებითა CD. 18 მეოთხეს D ]დ<sup>ა</sup> AB. სულიერთა ]სულთა CD. 20 მეხუთესა ]ე<sup>ა</sup> AB. ცხოველნი + და CD. 22 მეექუსესა ]ვ<sup>ა</sup> AB. ქერაბინნი A. 22-23 თაყუანისცემენ BCE, თაყუანი-სცემ D.

(1) შდრ. ფს. 98. 148.



სცემენ და ევედრებიან ღმერთსა;

9. და ჟამსა მეშუდესა შვეალს ყოველი ლოცვაჲ წინაშე ღმრ-  
თისა;

10. და ჟამსა მერვესა აღიდებენ მფრინველნი ცათანი და  
მძრომელნი მიწისანი; 5

11. ჟამსა მეცხრესა ლოცვაჲ გამოცხადნების ანგელოზთა ღმ-  
რთისათაჲ, რომელნი დგანან ძრწოლით წინაშე საყდართა ღმრ-  
თისათა და აუარებენ ღიდებითა მათითა;

12. და ჟამსა მეათესა ლოცვაჲ ყოველთა წყალთაჲ არს,  
რამეთუ მას ჟამსა გარდამოვალს სული წმიდაჲ ზეცით და ბრი- 10  
ალებს ზედა ყოველთა წყალთა და განსდევნის ყოველსა მანებელსა  
კაცთასა;

13. და ჟამსა მეათერთმეტესა არს განსრულებაჲ სიხარულისაჲ  
ღიდებითა ყოველთა მარ(ნvC)თაღათაჲ;

14. და ჟამსა მეათორმეტესა დაღადებაჲ ძეთა კაცთაჲ შეწყ- 15  
ნარებულ არს და მითუალულ წინაშე ღმრთისა.

15. მ შვილო, დაიმარხე მცნებაჲ ესე ჩემი!

16. ჟამნი ღამისანი ი<sup>ბ</sup>:

17. პირველსა ჟამსა ღამისასა მოდრკებიან ძრწოლით ეშმაკნი  
მონებად ღმრთისა და ვერ შემძლებელ არიან ვნებად და განრყუ- 20  
ნად ყოველთა კაცთა, (33vA) ვერცალა შეაგინებენ ყოვლადვე, ვი-  
დრე არა განდგენ მონებისაგან ღმრთისა;

18. და ჟამსა მეორესა აღიდებენ ყოველნი ცხოველნი, რომელნი

---

2 და ]ხოლო ABE. მეშუდესა ]ზ<sup>ნ</sup>-სა AB. 4 ჟამსა – CD. მერვესა ]მ<sup>ნ</sup>  
AB. მფრინველნი + ზე ჰაერთა E. 5 მძრომელნი + ქუეშე E. 6 მეცხრესა ]თ<sup>ნ</sup>  
AB. გამოცხადნების C, გამოცხადების D. 8 და – AB. აუარებენ ]აღიდებენ  
CD. მათითა ]მისითა B. 9 მეათესა ]ი<sup>ნ</sup> AB. 10 მას ჟამსა ]მათ შინა CD. 11  
ბრიალებს ]შრიალებს A. ~ ყოველთა წყალთა ზედა CD. 13 მეთერმეტესა  
D ]ი<sup>ნ</sup> AB. არს – CD. 13-14 სიხარულისა ღიდებითა ]სიხარულითა CD.  
14 მართაღათაჲ ABE. 15 მეთორმეტესა D ]ი<sup>ბ</sup> AB. 17 მი CD. შვილნი  
D. დაიმარხენ მცნებანი ესე ჩემნი (ჩემი D) CD. 18 ი<sup>ბ</sup> – B. ~ ათორმეტნი  
ღამისანი E. 20 და – ABE. 20-21 განყუნად CD. 21 ყოველთა ]ძეთა CD.  
ვერცა E. შეაშინებენ CD. ყოვლადვე ]ყოველნივე CD. 23 მეორესა ]ბ<sup>ნ</sup> AB.

არიან წყალთა შინა და სიღრმეთა, იძრვისნი;

19. და ჟამსა მესამესა მონებაჲ არს და დიდებაჲ ცეცხლისაჲ, რომელი არს ქუეშე ყოველთა ვარსკულავთა, რომელსა ვერ შემძლებელ არს ყოველი კაცი სიტყუად მას ჟამსა და ვერცა გამ-  
5 ოიკულევს, ვითარ რაჲ არს;

20. და ჟამსა მეოთხესა გამოცხადებაჲ სერაბინთაჲ არს, რომელთაჲ-იგი მესმოდა სიტყუად და ვხედვედი, რა-ჟამს ვიყავ  
სამოთხეს უწინარეს ცოდვისა; და ვითარცა გარდავქედ მცნე-  
ბასა, და მოაკლდა კმაჲ მათი, და არღარა ვიხილე კუალად, რო-  
10 მელსა-იგი ვხედვედი, ოდეს დაიდრიკინან სერაბინთა ფრთენი მათნი;

21. და ჟამსა მეხუთესა აღიდებენ წყალნი, რომელ არიან ზე-  
ცათა, ვითარ-იგი მესმოდა მე კმაჲ ყოველთა ანგელოზთაჲ, ვი-  
თარ-იგი ზარს-სცემდეს და კმობდეს შემდგომითი-შემდგომად ნაენი  
15 და ურმისთუალნი, რომელნი ვლენან ზე წყალთა და დაღადებით აღიდებენ; (34rA)

22. და ჟამსა მეექუსესა აღიდებენ ყოველნივე დღეთა წესნი და არს შიში და ზარი;

23. და ჟამსა მეშუდესა მოწოდებაჲ არს ძალისა და ქუეყანი-  
20 საჲ და აღიდებენ, ოდეს-იგი დაყუნდინან ყოველნი წყალნი. და

1 იძრვისნი D. 2 და - D. ჟამსა - CD. მესამესა ] გ<sup>~</sup> AB. და დიდებაჲ ცეცხლისაჲ ] ქუეშე დიდებითა ცხოველისა CD. 3 რომელ D. ქუეშე - CD. ვარსკულავთასა CD. 4 და - CD. 5 გამოაკლევს D. ვითარ რაჲ ] ვერარა CD. 6 მეოთხესა ] დ<sup>~</sup> AB. სერაბინთა ] ქერაბინ-სერაბინთა C, სერობინ-ქერობინთა D. 7 რომელთაჲ-იგი ] მათა იგი CD. ვიყავ ] იწყოს C, იწყო D. 8 ~ უწინარეს სამოთხესა CD. და - CD. ვითარ CD. 8-9 გარდავქედ მცნებასა ] გარდავქედით CD. 9 და მოაკლდა ] დაგვაკლდა CD. მათი ] იგი CD. და (II) - CD. ვიხილეთ CD. 10 ვხედვედით CD. დაიდრიკინან C, დაიდრიკა D. სერაბინთა D. ფრთენი ] ფერკნი C ] - D. 12 მეხუთესა ] ე<sup>~</sup> AB. წყალნი ] ყოველნი E. რომელნი CD. 13 ვითარ იგი ] ვითარმედ იგი C, ვიდრემდე იგი D. მე - CD. 13-14 ვითარ იგი ] ვითარმედ იგი CD. 14 ზარს-სცემდეს CE, ზარსა სცემდეს D. შემდგომითი - CD. 15 ვლენან A. 17 მეექუსესა ] ე<sup>~</sup> AB. ყოველთა CD. წესნი ] წინაშე CD. 19 მეშუდესა ] ზ<sup>~</sup> AB. მოწოდებაჲ ] მოწება CD. 20 აღიდებს ABE. დაყუნდენ AE, დაყუნდენ CD.

ჟამი იგი არს, რომელსა უღირს მღდელსა, რამათა მოიღოს წყალი და შეაზაოს ზეთი კურთხეული და სცხოს სნეულსა და რომელსა არა დაეძინებოდის ვნებისაგან, და განკურნოს; (7rC)

24. და ჟამსა მერვესა გამოვალნ მწუანე ქუეყანისაგან;

25. და ჟამსა მეცხრესა ადიდებენ ანგელოზნი და მიითუალვენ 5  
ლოცვასა, რომელნი ღმრთისათუს შურებოდიან;

26. და ჟამსა მეთესა განეხუმიან კარნი ცათანი: და ყოველმან, რომელმან ილოცოს ღმრთისა მიმართ შვილმან მორწმუნემან, მიანიჭებს ღმერთი მისაგებელსა, უკუეთუ იხილოს გულითა წმიდითა; უკუეთუ კულა ორგულად ილოცვიდეს, არა შეიწირავს ღმერთი, 10  
არცა შეიწყნარებს ლოცვასა მათსა. რამეთუ მას ჟამსა გარდამოვალს მადლი და ნიჭი ღმრთისაგან და უგალობენ (34vA) სერაბინნი მფრინვალენი, ღაღადებით აუარებენ და აქებენ ღმერთსა;

27. და ჟამსა მეთერთმეტესა უღირს მღდელთა, რამათა უკუ-  
მიონ საკუმეველი და თაყუანის-სცენ ღმერთსა, რამეთუ არს ცათა 15  
შინა;

28. და ჟამსა მეთორმეტესა გარდამოვალს მადლი ქუეყანასა ზედა აღმოსავალით და განანათლებს კიდეთა ქუეყანისათა ბრწყინვალედ.

29. § შვილო ჩემო სეით, ისმინე ჩემი სიტყუაჲ და გულისკ- 20  
მა-ყავ, რომელსა-ესე გასწავებ. რამეთუ ღმერთი მოვალს ქუეყა-

1 და ჟამი იგი არს - CD. უღირს ]უარეს CD. მღურდელსა CDE. 2 შეაზაოს CD. და (II) - D. და (III) - CD. 3 განიკურნის ABE. 4 მერვესა ]მ̄ AB. გამოვლენ CD. 5 მეცხრესა ]თ̄ AB. 6 ო შურებიან ღმრთისათ̄ CD. 7 მეთესა ]ი̄ AB. განეხმიან ACE, განეკმიან D. 7-8 კარნი ცათანი და ყოველმან რომელმან ილოცოს ღმრთისა მიმართ შვილმან მორწმუნემან bis CD. 9 უკეთუ AC. 10 კულა ]კაცთა B. ორგულად ]უგულად CD. შეიწირავს ]შეიწყნარავს D. 10-11 შეიწირავს ღმერთი არცა - ABE. 12 გარდამოვალს D. 13 მფრინველნი BCD. ღაღადებითა CD. ღმერთსა - CD. 14 და - BCD. მეთერთმეტესა ]ი̄ა AB. მღურდელსა CD. 14-15 აკმიონ A, აკმიონ BE. 15 საკუმეველი B. თ̄ყნისცენ BE, თაყუანისცემდენ CD. 16 ცათა ]წმიდათა CD. შინა + ღუმილი დიდი ყოველთა მყოფთა შინა ცათა CD. 17 მეთორმეტესა ]ი̄ბ AB. გარდამოვალს D. 18 აღმოსავლით A. ქუეყანისათა ]სოფლისათა CD. 20 ზი CDE. ჩემნი სიტყუანი CD. 21 ღმერთი - CD. ქუეყანად C.

ნად, ვითარცა-იგი მიქადა სამოთხეს

30. და მრქუა, ვითარმედ: „უკუანამსკენელთა ჟამთა გამოვავ-  
ლინო ძე ჩემი პირველ საუკუნეთაჲ, რომელი იშვეს ქალწული  
ქალწულისაგან პირმშომსა, რომელსა ერქუას მარიაჲ. და იყოს  
5 კაცთა თანა და აღიზარდოს შვილთა მათთა თანა ჩჩულთა. (1)

31. მას ჟამსა შინა იყოს საკურველი დიდი, რამეთუ ლელვათა  
ზედა ზღუსათა ვიდოდის, ვითარცა კმელსა ქუეყანასა, შერისხ-  
ნეს ქართა და დაყუდნენ და დასცხრენ ლელ(35rA)ვანი, (2)

32. მოუკდენ ბრმანი და ხედვიდენ, ყრუთა ესმოდის და  
10 უტყუნენ (C7v) იტყოდინან და მეძაენი შეუვრდებოდინან სინანულითა  
და ურჩნი მოიქცენ მორჩილებად (3)

33. და შეცთომილნი მოიძივნენ და ეშმაკნი განასხნენ“.

34. და ესრეთ ნუგეშინის-მცა მე ღმერთმან, ოდეს გამომიყვანა  
მე სამოთხით,

15 35. და მრქუა: „მ ადამ, ნუ გეშინინ, გინდა ღმრთეებაჲ?  
ხოლო მე, ღმერთმან, გყო შენ ღმერთ, არამედ არა ამას ჟამსა,  
არამედ შემდგომად ჟამთა. (4)

36. აწ მე სამოთხით გამოგკადე შენ საქმედ ქუეყანასა, სავს-  
ესა ეკლითა და კურომსთავითა, და შეგიდრიკე ზურგი შენი და  
20 გუამი შენი შრომად მივეც, და ძრწოდინან მუკლნი შენნი სიბერ-  
ითა, და უკუანამსკენელ სიკუდილსა მიგცე შენ. (5)

1 ვითარცა იგი ]რომელი იგი CD. სამოთხესა CD. 2 მრქუა + მე CD.  
უკუანამსკენელთა + და D. 2-3 მოვავლინო CD. 3 საუკუნეთ CD. ქალწული  
– BCD. 5 მათთა ]მათ CD. ჩულთა A. 6 შინა – CD. რამეთუ – CD. 7  
ზედა ]შინა AB. კმელთა B. 8 და (2) – CD. 9 და (1) – CD. და (2) –  
CD. 10 შეურდებოდინან ACD. 10-11 სინანულითა + და მიიდიან მიტევება  
ცოდვათა E. 12 მოიძივნეს ABE. განასხნეს AB. 14 მე + ღმერთმან ABE. 15  
და – CD. ში CD. ღთობა CD. 18 მე – CD. გაქმადე CD. ქუეყანისა  
CDE. 19 კურომსთავთა CD. 20 მუკლნი ]კლნი CD. 10-21 სიბერისაგან  
CD. 21 უკუანამსკენელ ]უკანამსკენელთა ჟამთა CD.

(1) ლუკა 1,27; ეს. 7,14. (2) მათე 14,22-23; მარკ. 6,45-52; იოანე 6,15-  
21. მათე 8,23-27; მარკ. 4,35-41; ლუკა 3,22-25. (3) მათე 11,5; ეს. 35,5-6;  
ლუკა 7,37-38; მათე 18,12-14; ლუკა 15,4-7; მათე 8,28-34; მარკ. 5,1-20; ლუკა  
8,26-39. (4) შდრ. დაბ. 3,5,22. (5) შდრ. დაბ. 3,17-19.

37. და შემდგომად ხუთისა დღისა და ნახევრისა დღეთა ჩემთაჲსა დაგიფარო შენ მოწყალებითა ჩემითა და სახლსა შენსა ვი(35vA)ყოფოდი განუშორებულად. (1)

38. შენთვის ძე ჩემი გამოქსნად მოვიდეს შენდა ამას ქუეყანასა; (2)

